საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

შაბათი, 10 თებერვალი. 2018 წ. №30 (8431), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

③ გაბრაზებული რექტორი ალმა მატერის ალორძინებას აპირებს!

გია შარვაშიძე: თსუ-ს კონკურენტი არ ჰყავს, წერტილი!

④ აფგან მუსთაფლი: ამ დანაშაულის სათავეში დგას პრემიერ-მინისტრი!..

ახალგორის „საბაჟო“

ფული ბიუჯეტში თუ, ფული ჯიბეში? ⑨

ანონსი



300-ზე მეტი ფილმი საჩუქრად – სოფლის განვითარებისთვის!

12 **იანვარს** საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართება საგანგებო შეხვედრა, რომელზეც თურქეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ქალბატონი **ფათმა ჯერენ იაზგანი** და თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს TIKA-ს კავკასიისა და შუა აზიის რეგიონის კოორდინატორი, ბატონი **ალი ოზგიუნ ოზთურქი** საქართველოს საჩუქრად გადასცემენ სოფლის თანამედროვე მდგრადი განვითარების ამსახველ სასწავლო-საკონსულტაციო ფილმების ნაკრებს –

სულ 300-ზე მეტ ფილმს!

ამ ღონისძიებების, კონკრეტულად, ქართულად ნათარგმნი ამ ერთობ საჭირო სასწავლო-საკონსულტაციო ფილმების შესახებ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ!

ადამიანთა შთანთქმელები

კაცობრიობა განვითარების სრულიად ახალ – გიგაპოლისების ცივილიზაციის სტადიაში შედის. ამასთან, დღეს ექსპერტები გადაჭრით ვერ ამბობენ, კარგია ეს თუ ცუდი, თუმცა კი პროცესი მთელ პლანეტაზეა მოდებული. ⑤

საქართველოს დელეგაციის გამოსვლა ოლიმპიადის გახსნაზე

გუშინ კორეის ქალაქ პიონჩანში ზამთრის XXIII ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს ოლიმპიურმა დელეგაციამაც მიიღო. ჩვენი დელეგაციის მედროშე კი მოციგურავე მორის ყვითელაშვილი იყო.

⑪

მთავრობის საგანგებო თათბირი, იგეგმება ზომების გამკაცრება



საქართველოს **მთავრობა ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით, ზომების გამკაცრებას გეგმავს,** – ამ თემაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საგანგებო თათბირი გამართა, რომელშიც ვიცე-პრემიერები, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე და შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური მონაწილეობდნენ.

თათბირზე განიხილეს ის ნაბიჯები, რომელთა გადადგმა უმოკლეს ვადებში იგეგმება, რათა ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა კიდევ უფრო არ გაიზარდოს და ეს ვიზალიბერალიზაციის შეფერხების მიზეზი არ გახდეს.

საქართველოს მთავრობა დიდი ყურადღებით ეკიდება პარტნიორი ქვეყნების წუხილს და მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას გეგმავს, როგორც კანონმდებლობის გამკაცრების, ასევე პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გააქტიურებისა და ქვეყნის მასშტაბით აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმოების მიმართულებით.

საუბარია საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებაზე, რომელთა შედეგად, შემოღებული იქნება მთელი რიგი პრევენციული ზომებისა, მათ შორის ისეთის, როგორიცაა რეადმისიის ხარჯის თავად რეადმისირებულ პირებზე დაკისრება; გვარის შეცვლასთან დაკავშირებული პროცედურების გამკაცრება და ა.შ. აღნიშნული ცვლილებები მთავრობის უახლოეს სხდომაზე იქნება წარდგენილი.

პრემიერ-მინისტრის დავალებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო კიდევ უფრო გააძლიერებს ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატებს პარტნიორ ქვეყნებთან, განსაკუთრებით ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის კონტექსტში. გარდა ამისა, შედგება შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტები ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში, რათა კიდევ უფრო გააქტიურდეს პოლიციის ატაშეების ინსტიტუტი.

ასევე, მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდება აქტიური საინფორმაციო კამპანია, რომელიც მოსახლეობას მიაწვდის დეტალურ ინფორმაციას, რა რისკებთან არის დაკავშირებული მათ მიერ შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის წესების დარღვევა და რა შედეგებს მოუტანს ეს მათ, სხვადასხვა, მათ შორის ფინანსური თვალსაზრისით.

საქართველოს პრეზიდენტი საბერძნეთის პრემიერს ალექსის ციპრასს შეხვდა

საბერძნეთში სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტმა მოლაპარაკებები საბერძნეთის პრემიერთან გამართა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოსა და საბერძნეთის თანამშრომლობა საუკუნეების განმავლობაში ემსახურებოდა ევროპის განვითარებას და სწორედ ამ ტრადიციებზე დაყრდნობით უნდა განვითარდეს ორ ქვეყანას შორის თანამედროვე ურთიერთობები. მხარეებმა განიხილეს კონკრეტული ნაბიჯები ვაჭრობის, ტურიზმის, ბიზნესთანამშრომლობის გასაღრმავებლად. ალექსის ციპრასმა დაადასტურა საბერძნეთის სრული და ურყევი მხარდაჭერა საქართველოს მისწრაფებების მიმართ ევროკავშირსა და ნატოში.

შეხვედრაზე მხარეებმა ვრცლად ისაუბრეს უსაფრთხოების საკითხებზე, საქართველოს პრეზიდენტმა საბერძნეთის პრემიერს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება გააცნო. ხაზი გაესვა, რომ ოკუპაციამ საქართველოში მცხოვრები ბერძნებიც დააზარალა. აღინიშნა ისიც, რომ საფრთხე ექ-

მნება იმ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან საქართველოს ტერიტორიაზეა. მხარეების თქმით, საჭიროა საერთო ძალისხმევა ევროპაში კონფლიქტების მოსაგვარებლად და სტაბილურობის შესაქმნელად შავი ზღვის რეგიონის ჩათვლით.

მხარეებმა ასევე იმსჯელეს ორ ქვეყანას შორის ტურიზმის, ინვესტიციების მოზიდვისა და გამოცდილების გაზიარების პერსპექტივებზე. ხაზი გაესვა ეკონომიკური კავშირების გაძლიერებისა და ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვის ზრდის პოზიტიურ დინამიკას.

აჭარის მთავრობა ოპოზიციას უპასუხებს

აჭარის მთავრობა ოპოზიციის შეთავაზებას ეხმაურება. მთავრობის მიერ გაკეთებულ განცხადებას გთავაზობთ უცვლელად:

„მინდა, გამოვეხმაურო ნაციონალური მოძრაობის განცხადებას ხელოვნების უნივერსიტეტის შენობასთან დაკავშირებით. პირველ რიგში მინდა, ვთქვა, რომ აღნიშნულ შენობაში მთავრობის აპარატის განთავსება ამ ეტაპზე არ განიხილება და ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას. რაც შეეხება თავად შენობას, საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, რომ აღნიშნული შენობა მათი ხელისუფლების დროს იმგვარად იყო დაპროექტებული და გაკეთებული შიდა გეგმარება, რომ იქ უნდა გადასულიყო მთავრობის აპარატი. თუმცა მინდა, დავამშვიდო ჩვენი ოპონენტები და ვუთხრა, რომ აღნიშნული შენობის სამომავლო ბედის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილება არ იქნება ნაჩქარევი და ერთ დღეში მიღებული, როგორც ეს თავად გააკეთეს 2012 წელს. გაიმართება მსჯელობა და კონსულტაციები, თუ რა განთავსდება აღნიშნულ შენობაში და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება მიღებული გადაწყვეტილება“ — განაცხადა ბესიკ ლილუაშვილმა.

ილჰამ ალიევი: ერევანი ჩვენი ისტორიული ტერიტორიაა და აზერბაიჯანელები უნდა დავბრუნდეთ ამ მიწაზე

აზერბაიჯანის პოლიტიკურ და სტრატეგიულ მიზანს ერევანში დაბრუნება წარმოადგენს, რომელიც აზერბაიჯანის ისტორიული ტერიტორიაა. **„რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, ამის შესახებ პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა მმართველი პარტიის „ახალი აზერბაიჯანის“ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

აზერბაიჯანის ლიდერის თქმით, ერევანის სახანო, ზანგეზური და გიოიჩე აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიული მიწაა. მან ასევე აღნიშნა, რომ მოცემული ფაქტი უნდა იცოდეს, როგორც ახალმა თაობამ, ისე საერთაშორისო თანამეგობრობამ.

„ერევანი ჩვენი ისტორიული ტერიტორიაა და ჩვენ, აზერბაიჯანელები უნდა დავბრუნდეთ ამ ისტორიულ მიწაზე. ეს ჩვენი პოლიტიკური და სტრატეგიული მიზანია , რომელსაც ეტაპობრივად უნდა მივუახლოვდეთ“, — განაცხადა აზერბაიჯანის ლიდერმა. ალიევის თქმით, საერთაშორისო თანამეგობრობა მთიანი ყარაბაღის საკითხში მხარს აზერბაიჯანს უჭერს. მისივე თქმით, ყარაბაღის კონფლიქტი გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე უნდა დარეგულირდეს.

სომხეთის ხელისუფლებამ აზერბაიჯანის პრეზიდენტის განცხადებას მიუღებელი უწოდა.

აშშ-ის სასაზღვრო პოლიციის უფროსად ეკეკლიძე

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსად თემურ კეკელიძე დაინიშნა. სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ პირადად წარუდგინა.

თემურ კეკელიძე 2017 წლის ივნისიდან 2018 წლის იანვრამდე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობას ასრულებდა. ის იყო ამავე დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე 2016-2017 წლებში. 2012-2016 წლებში თემურ კეკელიძე იყო ნატოში საქართველოს წარმომადგენლის მოადგილე. 2007-2012 წლებში იგი იკავებდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობას, ხოლო 2006 წლის აპრილიდან 2007 წლის ოქტომბრამდე იგი ამავე დეპარტემენტის პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველოს უფროსი იყო. 2006 წლის იანვრიდან 2006 წლის მარტამდე თემურ კეკელიძე იკავებდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ნატოს სამმართველოს უფროსის თანამდებობას. 2005-2006 წლებში იგი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თანაშემწე იყო, ხოლო 2004-2005 წლებში თავდაცვის განვითარების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე. 2003 წლის აპრილიდან 2003 წლის აგვისტომდე თემურ კეკელიძე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მრავალმხრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსად, 2002 წლის ოქტომბრიდან 2003 წლის აპრილამდე ის ამავე დეპარტამენტის ნატოს განყოფილების უფროსი, ხოლო 2001-2002 წლებში ნატოს განყოფილების სპეციალისტი იყო.

2004 წლიდან თემურ კეკელიძე მეცნიერების სამეფო სამხედრო კოლეჯის, კრენფილდის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) გლობალური უსაფრთხოების მეცნიერებათა მაგისტრია. მან 2001 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა, სპეციალიზაციით — საქართველოს ისტორია; 1997 წელს კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

სადისკუსიოდ: იბეჭდება მკითხველის თხოვნით!

გაბრაზებული რექტორი ალმა მატერის ალორძინებას აპირებს!

გია შარვაშიძე: თსუ-ს კონკურენტი არ ჰყავს, წერტილი!

პირველი ქართული უნივერსიტეტი 100 წლის იუბილეს აღნიშნავს. საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში უნივერსიტეტმა აღზარდა თაობები და უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული განათლების სისტემის განვითარებაში. ეს იყო ადგილი, სადაც საზოგადოების მაჯისცემა ყოველთვის იგრძნობოდა. ტრადიცია არც ახლა დარღვეულა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავ მოვლენების ეპიცენტრშია. განათლების სისტემის რეფორმირებაზე საუბარი სწორედ ამ ადგილიდან იწყება და დაარსებიდან საუკუნის შემდეგ, კვლავ ქვეყნის ყველაზე დიდ საგანმანათლებლო დაწესებულებად რჩება. ინარჩუნებს თუ არა პირველობას, რა პრობლემების წინაშე დგას – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე პირველ არხს უნივერსიტეტის განვითარების ხედვასა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა.

– 100 წლის წინათ პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ არსებული რეალობა შეცვალა, ის განათლების მთავარ კერად იქცა. ახლა ამ უნივერსიტეტის რექტორი ხართ, რას ნიშნავს თქვენთვის ეს თარიღი?

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო არა მარტო პირველი უნივერსიტეტი კავკასიაში, არამედ პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც სწავლება ქართულ ენაზე დაიწყო. ეს იყო პირველი შემთხვევა მთელ პოსტრუსულ იმპერიაში, როდესაც უმაღლესი განათლების მთელი ციკლი საღვთისმეტყველო მიმართულებით დავიწყეთ, თუმცა არ გვქონდა განვითარებული ინსტიტუციები. პირველი საქმე, რასაც ჩვენი დამფუძნებელი მამები აკეთებდნენ, იყო ტერმინოლოგიის შექმნა. ამაზე ფიქრი 1907 წელს დაიწყო, როდესაც რეალურად დადგა საკითხი, რომ ქართული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ ოცნება რეალობად ქცეულიყო. მთელი მაშინდელი მოძრაობა მიმართული იყო იქითკენ, რომ საქართველოში სახალხო განათლების სისტემა ჩამოყალიბებულიყო. თავდაპირველად, უნივერსიტეტის შექმნაზე ფიქრი არც დაიწყებოდა, რომ არა ივანე ჯავახიშვილის უნიკალური როლი. მას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მათ შორის, ნიკო მარი, რომელსაც სწავლების დაწყება რუსულ ენაზე სურდა, თუმცა ივანე ჯავახიშვილის ხაზმა გაიმარჯვა.

ამასთან, მეორე ფუნქცია, რომელიც უნივერსიტეტს ჰქონდა, იყო მისი საზოგადოებრიობა. მართალია, ის იურიდიულად შეიქმნა, როგორც კერძო, თუმცა რეალურად იყო საზოგადოებრივი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მთავარი შენობაც საზოგადოების შემოწირულობით არის აშენებული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საზოგადოების გამაერთიანებელი გახდა. მნიშვნელოვანია, რომ პირველი სტუდენტი ქალს ეკუთვნოდა. მისი შთამომავლები საზეიმო ღონისძიებაზე ჩამოდიან, ახლა ისინი პარიზში ცხოვრობენ.

– ცოტა ხნის წინათ „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“ აღდგა, რა დატვირთვა აქვს ამ გაერთიანებას?

– უნივერსიტეტის იუბილეს აღნიშვნა გასული წლის 15 დეკემბერს დაიწყო, როდესაც ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება აღდგა. ამ აქტს აღდგენა დავარქვით და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს საზოგადოება ეძებდა ხალხს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ პედაგოგებს, ასევე, ფინანსურ საკითხებზე ზრუნავდა. ამ პროცესში ყველა ჩაება. თუ ნახავთ, ვის შემოჰქონდა თანხა, ძალიან საინტერესო სურათს მიიღებთ. თავიდან შენატანი 300 მანეთი უნდა ყოფილიყო, თუმცა მერე ითქვა, რომ ვისაც რამდენი შეეძლო, იმდენი შეეტანა. თქვენ აღმოაჩენთ კოტე აფხაზს, რომელმაც 300 მანეთი შესწირა უნივერსიტეტს, არქიმანდრიტ იოანეს, რომელმაც 25 მანეთი შეიტანა, ასევე, ნახავთ მუშას, რომელმაც 5 მანეთი გაიღო. ვისაც რამდენი შეეძლო, ის შეჰქონდა. აი, ეს გახდა თსუ-ის ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტი. პირველივე დღიდან უნივერსიტეტი დაარსდა, როგორც ავტონომიური სასწავლებელი. სწორედ წესდების მესამე პუნქტში წერია, რომ ქართული უნივერსიტეტი არის სრულიად დამოუკიდებელი. მე რომ თსუ-ის კურსდამთავრებული ვიყავი, მაშინ არ არსებობდა ადგილი, სადაც უნივერსიტეტისთვის რაღაცის გაკეთებას შეძლებდი, ახლა ეს საზოგადოება ამ ფუნქციასაც შეითავსებს. ვისაც სურვილი აქვს, დაეხმაროს უნივერსიტეტს, რასაკვირველია, უნივერსიტეტი მათი მადლობელი იქნება. მაგალითად, დღეს რამდენიმე წერილი მომივიდა, მათ შორის, გამოჩენილი მეცნიერის ოთარ ჯაფარიძის, რომელიც უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თავის ბიბლიოთეკას საჩუქრად თსუ-ს გადასცემს. ეს არის ძალიან პოზიტიური ჟესტი. ის 96 წლის არის და მთელი მისი ცხოვრება უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული.

– როგორ ფიქრობთ, უნივერსიტეტს დღესაც ისეთივე საზოგადოებრივი ფუნქცია აქვს, როგორც დასაწყისში იყო?

– ნამდვილად. ბოლო პერიოდში კარგი რაც მოხდა, ეს არის კონსტიტუციური ცვლილებები, სადაც ერთ-ერთ პუნქტშია ასახული, რომ უნივერსიტეტი არის ავტონომია. იმედია, პარლამენტი ამ კონსტიტუციას მესამე მოსმენითაც მიიღებს. სიმბოლურია, რომ 100 წლის შემდეგ გავიმეორეთ ის, რაც პირველ წესდებაში ეწერა. ევროპაში მხოლოდ ორ ქვეყანას აქვს მსგავსი ჩანაწერი – აკადემიური თავისუფლება და უნივერსიტეტის ავტონომიის პრინციპი, რომელიც საკონსტიტუციო ნორმად ჩამოყალიბდება.

– რას მისცემს ეს ჩანაწერი უნივერსიტეტს?

– ეს ჩანაწერი უნივერსიტეტს მისცემს იმას, რომ ორგანულ კანონში გაიწერება, რას ნიშნავს ავტონომია. ჩვენი სურვილია, რომ თსუ გახდეს საზოგადოებრივი უნივერსიტეტი და არა – სახელმწიფო. სხვათა შორის, როცა სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა, მაშინ ჩვენმა დამფუძნებელმა მამებმა მთავრობას წინაპირობა წაუყენეს, არ ჩარეულიყვნენ მათ შიდა საქმიანობაში და მხოლოდ ფინანსური ანგარიშვალდებულება ჰქონოდათ, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი ახლაც დარჩება, თუმცა უნივერსიტეტი იქნება საზოგადოებრივი.

თუმცა, უნივერსიტეტში რჩება ბევრი პრობლემა, მაგალითად, დაფინანსების წესი, მართვის სისტემა, რომელსაც სტუდენტების პროტესტი მოჰყვა. ბევრი პრობლემა არსებობს, შესაცვლელია უმაღლესი სკოლის დაფინანსება, ასევე, ბევრი რამ, რაც უკავშირდება უმაღლესი სასწავლებლების მართვას. პრობლემების მოგვარების ხედვა და მზაობა არსებობს. კარგად დავიწყებული წარსული აწმყოა. რასაც ვლაპარაკობთ დღეს, თანამედროვედ ჟღერს, მაგრამ ეს ყველაფერი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროფესორებს ირჩევდა ყველა, ეს იყო ღია პროცესი. ყველა პროფესორი და სტუდენტი ესწრებოდა მომავალი ლექტორის ლექციას და მხოლოდ ამის შემდეგ იღებდა რექტორი გადაწყვეტილებას. ამას უნდა დავუბრუნდეთ, რადგან ეს არის ევროპული უნივერსიტეტი, ეს არის ღია მმართველობის სისტემა და ეს არის ჩართულობა. საზოგადოება უნდა მონაწილეობდეს უნივერსიტეტის ცხოვრებაში, მათ შორის, მართვაში. ეს არის პრინციპი, რომელიც დავკარგეთ 70-წლიანი ოკუპაციის პირობებში.

– ხშირად საუბრობენ, რომ თსუ ბაზარზე კონკურენციას ვეღარ უძლებს, როგორია თქვენი პოზიცია?

– ჩვენი პოზიცია ასეთია – რაც მეტი იქნება კონკურენტი, მით უკეთესი. ინფრასტრუქტურიდან დაწყებული, მართვით და დაფინანსებით დამთავრებული, უამრავი პრობლემა არსებობს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის, რა თქმა უნდა, თსუ-შიც. თუმცა, ერთ რამეს ვიტყვი და არა იმიტომ, რომ რექტორი ვარ და მუნდირის ღირსებას ვიცავ, თსუ-ს კონკურენტი არ ჰყავს, წერტილი! ყველაფერი დანარჩენი, ვითომ თსუ მხოლოდ სახელი დარჩა, რეალობას არ შეესაბამება. ძალიან კარგია, რომ აგრესია მოდის, ე.ი. თსუ არის ცოცხალი ორგანიზმი. რაც შეეხება სტუდენტურ მოძრაობებს, მაშინაც ვამბობდი და ახლაც ვამბობ, იქ, სადაც არ არის სტუდენტური მღელვარება, იქ, სადაც სტუდენტობა არის ძალიან დავარცხნილი, დალაგებული, არ მგონია, რომ მაინცდამაინც კარგი იყოს და უხდებოდეს უნივერსიტეტს. რა თქმა უნდა, ასაკიდან, მაქსიმალიზმიდან გამომდინარე გინდა, უკეთესი გახდეს შენი გარემო. ყველანაირი სტუდენტური მოძრაობა პოზიტივის მატარებელია, თუ ის გარკვეულ ზღვარს არ გადავა. ცხადია, გვინდა უკეთესი და ხარისხიანი განათლება, რაც ნიშნავს უკეთესი პროფესორის და სტუდენტის მისვლას უნივერსიტეტში. ამას დიდი შრომა დასჭირდება, ერთ და ორ დღეში არ გამოვა. ახლა უნივერსიტეტში უპრეცედენტოდ ბევრი კარგი რამ ხდება. არ ვიცი, რას მივაწერო ეს, 100 წლის იუბილეს თუ იმას, რომ კარგად ვთანამშრომლობთ ჩვენს პარტნიორებთან. გვაქვს სიახლე, მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაციის გეგმა ხორციელდება და მთავრობა მთლიანად აფინანსებს ამ პროექტს. უკვე ვიცი, რომ სამუშაოები მაისიდან დაიწყება და ზაფხულში ინტენსიურად გაგრძელდება. ამასთან, თსუ-ს გადაეცა თანამედროვე სტანდარტის საერთო საცხოვრებელი ლისის ტბაზე. ეს არ არის საკმარისი, თუმცა კარგია, რომ გამოჩნდა ადგილი და შესაძლებლობა, ჩვენი სტუდენტებისთვის კარგი პირობები შეგვეთავაზებინა. განსხვავებით იმ საერთო საცხოვრებლისგან, რომელიც გვქონდა და ჯერ კიდევ გვაქვს.

მესამე პროექტი კი ყველაზე მასშტაბური იქნება, ახლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კერძო სექტორთან მუშაობს, რათა დაახლოებით 3000-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან ააშენოს, ეს იქნება სოციალური პრობლემების მოხსნის წინაპირობა არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არამედ სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვისაც.

ბოლო პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა, სხვათა შორის, ქიმიის ინსტიტუტის რეაბილიტაცია მთავრდება, მაგრამ 16 ასეთი კვლევითი ინსტიტუტი ძალიან ცუდ დღეშია. მაგალითად, ენათმეცნიერების ინსტიტუტში ახლა ფიზიკურად საშიში მდგომარეობაა, ხალხის გაჩერებაც კი არ შეიძლება, თუმცა ამ პრობლემების მოგვარებას ძალიან დიდი დაფინანსება სჭირდება. 22 შენობა გვაქვს თბილისში. გასაგებია, რომ ერთ დღეში ეს არ კეთდება, თუმცა ამ გეგმას აუცილებლად მივყვებით. თუ არ მოწესრიგდა სასწავლო-კვლევითი გარემო, ძალიან რთული იქნება კონკურენციის გაწევა. კარგია, რომ ყველა ეჯიბრება თსუ-ს და უნივერსიტეტი ერთგვარი გამაღიზიანებელი და თამასაა. თუმცა, საქართველოში ჩვენი კონკურენტი არ არსებობს და დიდი ხნის განმავლობაში არც იქნება. ჩვენი კონკურენტია ევროპული უნივერსიტეტი, სადაც ჩვენი სტუდენტები ძალიან თავისუფლად მიდიან.

– რას ეყრდნობა თქვენი შეფასება, რომ თსუ ქართულ ბაზარზე უკონკურენტოა?

– არსებობს რეიტინგები და სულ მაგაზე გვიკიჟინებენ, რომ რამდენიმე ადგილით ჩამოვქვეითდით და ასე შემდეგ. თქვენს რეიტინგებს მიხედეთ, ასე ვეტყოდი მათ. ჩვენ ჩვენსას მივხედავთ. „გლობალის“ მიხედვით, ბოლო რეიტინგის მონაცემებით, ჩვენ 359-ე ადგილზე ვართ, სადაც ბევრ პარტნიორ უნივერსიტეტს ვუსწრებთ ევროპაში და ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ. ყველა რეიტინგში, მათ შორის, Time Higher education-ში, ფინალში გავედით. ჩვენი რეგიონიდან ერთადერთი უნივერსიტეტი ვართ, რომელიც ამ რეიტინგებში გადის. ვცდილობთ, მეცნიერება განვავითაროთ. აუცილებლად უნდა ნახოთ, რას აკეთებს SmartLab და AtmoSim Lab, როგორ ვახერხებთ, რომ ახალგაზრდები დავაბრუნოთ საქართველოში და ჩავრთოთ ისინი მეცნიერებაში. ჩვენთან იქმნება ბიოჩიპები, რომელიც სხვათა შორის, საუდის არაბეთში გავყიდეთ. ბიოჩიპს აწერია Made in Georgia. ხომ გვინდა, რომ ბრენდი შევქმნათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ბრენდი და იშვიათია ქვეყნები, სადაც 100-წლიანი ბრენდებია, რომლებიც კვლავ ინარჩუნებენ იმ პოზიციას, რაც დაარსების დღიდან ჰქონდათ. კიდევ ერთხელ ვამბობთ, ჩვენ ლიდერები ვართ რეგიონში, წერტილი. რაც მეტი უმაღლესი სკოლა იქნება, უკეთესია, რადგან ლანდშაფტი უნდა შეიქმნას მეცნიერებაში და არ შეიძლება ეს იზოლირებულად, მხოლოდ ერთ უნივერსიტეტში ხდებოდეს. თუმცა დღეს არ გვაკმაყოფილებს ის დონე, სადაც ვართ და ძალიან დიდი ამბიცია გვაქვს. მომავალი გვიჩვენებს, როგორ მოხდება ამ ამბიციების რეალიზება.

– თუმცა, პრობლემად რჩება განათლების ხარისხი, მოძველებული სილაბუსები და ამას დამატებული ის პრობლემები, რომელთაც სტუდენტები დღემდე აპროტესტებენ...

– უკმაყოფილების მთავარი მუხტი რამ გამოიწვია? – განცდამ იმისა, რომ არასწორად კეთდება ბევრი რამ, იგივე ფულის განაწილება, ვიღაც სტუდენტებს პრივილეგირებული წვდომა ჰქონდათ კონკრეტულ რაღაცებზე და ასე შემდეგ. ეს ხომ ადვილი მოსახსნელი იყო.

რაც შეეხება სილაბუსებს, მივედით იქ, სადაც უნდა მივსულიყავით, ამიტომ შეიცვალა მოთხოვნები, სტანდარტები, შეიცვალა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტი. მაგალითად, ახლა თავად გავიარეთ მოსამზადებელი ეტაპი, ერთი ფაკულტეტის შეფასება ექსპერტებს ვთხოვეთ. მაღალი კვალიფიკაციის საერთაშორისო ჯგუფი ჩამოვიდა, რომელმაც იურიდიული ფაკულტეტის მზაობა შეამოწმა, ძალიან პოზიტიური შეფასებები იყო, კრიტიკულ შენიშვნებთან ერთად. სილაბუსები აუცილებლად უნდა განვაახლოთ, არავის ექნება იმის ამბიცია, რომ ეს ერთ დღეში მოხდება.

რაც შეეხება დამოუკიდებლობას, ერთადერთი კავშირი, რაც უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს უნივერსიტეტთან, ეს არის ხარისხის კონტროლი. ჩვენ გვაქვს ხარისხის კარგი სამსახური, ახლა ვემზადებით ავტორიზაციისთვის, ეს არის ძალიან დიდი ეტაპი, ბევრი უმაღლესი სკოლა შეიძლება ავტორიზაციის მიღმა დარჩეს.

ამასთან, საზოგადოებაში დიდი აგრესია არსებობს და ჩვენი სტუდენტებიც რომ უყურებენ ამას, ეს აგრესია მათაც უჩნდებათ. რომ ეკითხებიან, სად სწავლობთო, მორცხვად პასუხობენ – თსუ-ში. არაფერი სამარცხვინო ამაში არ არის, თსუ-ში რომ სწავლობ, საამაყოა. თუმცა, უნდა ვიცოდეთ, საიდან ყალიბდება სიამაყის გრძნობა და რას ნიშნავს თსუ. უნდა ვიცოდეთ, რატომ უნდა ვიზეიმოთ უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე.

12 თებერვალს ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა პირველი ლექცია. წელს პირველ ლექციას ლევან გიგინეიშვილი წაიკითხავს, ის დაბრუნდა უნივერსიტეტში.

– და ბოლოს, რას ნიშნავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

– ეს არ არის მარტო სასწავლო დაწესებულება, ეს არის ეროვნული ინსტიტუტი, რომელიც ყოველთვის ასრულებდა ერთ ფუნქციას, აკეთებდა ქართულ საქმეს. როდესაც ერს უჭირდა, საითაც ვიხედებოდი, ეს იყო თსუ და ახლაც ასეა. ბევრს ეს არ მოსწონს, თუმცა უნივერსიტეტი სულ იქნება, ის ბევრ რამეს გადაიტანს, თაობები წავლენ, უნივერსიტეტი კი დარჩება. პირველი ქართული უნივერსიტეტი შეასრულებს ქართულ საქმეს.

მოამზადა
გიორგი ურუშაძემ

ანაკლიის პორტით CHINA RAILWAY INTERNATIONAL GROUP დაინტერესდა

ჩინეთში სიდიდით მეორე ყველაზე მსხვილი სამშენებლო კომპანიის China Railway International Group-ის წარმომადგენლები ანაკლიის პორტის პროექტის შესასწავლად საქართველოს ეწვივნენ.

კომპანიის დელეგაციამ მოლაპარაკებები ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან და საქართველოს სამთავრობო უწყებებთან გამართა, შემდეგ კი ანაკლიას ესტუმრა და პორტის ტერიტორია და მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები მოინახულა.

China Railway International Group მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა მშენებლობის მიმართულებით, რომელიც 200 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების მიმდინარე კონტრაქტებს ფლობს. ჩინეთის მთავრობის ინიციატივის „ერთი სარტყელი ერთი გზა“ ფარგლებში, რომელიც განახლებული აბრეშუმის გზის პროექტის განხორციელებას გულისხმობს, საქართველო ერთ-ერთ მნიშვნელოვან, ე წ „შუა დერეფნის“ სტრატეგიულ ნაწილად მოიაზრება. ამ მარშრუტში ჩართვის შანსი საქართველოს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ამოქმედების შედეგად მიეცემა, მას შემდეგ, რაც მასშტაბური და თანამედროვე ინფრასტრუქტურით ქვეყანა დიდი რაოდენობით ტვირთის გატარებას და გადაზიდვას შეძლებს.

იმერეთში წაბლნარი ტყეების აღდგენის ღონისძიებები იგეგმება

ეროვნული სატყეო სააგენტო, კომპანია BP-ის მხარდაჭერით, იმერეთის რეგიონში წაბლნარი ტყეების აღდგენის ღონისძიებებს გეგმავს. სააგენტოს სპეციალისტებთან ერთად უცხოელი ექსპერტები ადგილზე გაეცნენ მდგომარეობას.

ე.წ. „წაბლის ქერქის კიბოს“ სახელით ცნობილი დაავადება, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. ღონისძიების ფარგლებში უკვე განხორციელდა ზესტაფონის სატყეო უბნის ტყის ინვენტარიზაცია.ასევე, მიმდინარეობს დაავადების შესწავლა და მუშაობა ტყის მართვის გეგმის დოკუმენტსა და ტყის ეკოსისტემის აღდგენის პროექტზე. სააგენტოს სპეციალისტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით განსაზღვრული ტყის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ტყის აღდგენის ღონისძიებების განხორციელებას მიმდინარე წლიდან დაიწყებს. კვლევის ნაწილში, ქართველ ექსპერტებთან ერთად ავსტრიის ტყის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები არიან ჩართულები.



კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ „ტელეიმედი“ და „რუსთავი-2“ დააჯარიმა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შპს „ტელეიმედი“, შპს სამაუწყებლო კომპანია “რუსთავი-2“ და შპს „იბერია ტვ“ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გამო დააჯარიმა. კომისიამ კომპანიებს კანონით გათვალისწინებული ჯარიმა წლიური შემოსავლის 0.5% ოდენობის ნაცვლად – 0.1% დააკისრა, რაც „ტელეიმედის“ შემთხვევაში – 25748 ლარი, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი2“-ის შემთხვევაში – 31683 ლარი და „იბერია ტვ“-ის შემთხვევაში 3394 ლარია.

სამაუწყებლო არხების ბადეში განთავსებული პროგრამების მონიტორინგი, სპონსორობის წესებისა და პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსების მართლზომიერების დადგენის მიზნით, კომისიამ 14-22 დეკემბერს ჩაატარა. მონიტორინგისას აღნიშნული ტელეკომპანიების მხრიდან „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და კომისიის მიერ დამტკიცებული დადგენილების „სპონსორზე მითითების სახელმძღვანელო რეკომენდაციების“ დარღვევის ფაქტები გამოვლინდა. კერძოდ, ეთერში განთავსებულ გადაცემებსა და სიუჟეტებში საქონლის/მომსახურების შეძენის, მიწოდებისა და მოხმარებისაკენ პირდაპირი მოწოდება ხდებოდა.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ანალოგიური დარღვევისთვის სამივე მაუწყებლის მიმართ გამოყენებულია გაფრთხილება, შესაბამისად განმეორებითი დარღვევის გამო, ამჯერად კომპანიებს ფინანსური სანქციები დაეკისრათ. კომისიამ მსჯელობისას აღნიშნა, რომ მაუწყებლების დაჯარიმება კომისიის მიზანს არ წარმოადგენს და კომისიის ამოცანაა, ტელეკომპანიებმა დაიცვან კანონი და ანალოგიური დარღვევების პრევენცია მოახდინონ.

აფგან მუხთარლი: ამ დანაშაულის სათავეში დგას პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი!..

ციხიდან ორი დღით გათავისუფლებულმა აზერბაიჯანელმა ჟურნალისტმა აფგან მუხთარლიმ „ტვ პირველს“ ექსკლუზიური სატელეფონო ინტერვიუ მისცა. მუხთარლი სკანდალურ განცხადებებს აკეთებს. მისი თქმით, 28 მაისს თბილისიდან მისი გატაცების ბრძანება პირადად საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გასცა. მისივე თქმით, კვირიკაშვილის გარდა, მის გატაცებაში სხვა მაღალჩინოსნებმაც მიიღეს მონაწილეობა.

„ამ დანაშაულის სათავეში დგას პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი. სწორედ მან გასცა ბრძანება ჩემი გატაცების შესახებ. სწორედ მან გასცა ბრძანება, რომ საბაჟოზე ჩემი აყვანა მომხდარიყო. ამის შესახებ ისედაც ყველამ იცის. ამ დანაშაულის სათავეში კვირიკაშვილი დგას. მონაწილეობა მიიღო საქართველოს საბაჟოს ხელმძღვანელმა, ლაგოდეხის საბაჟო პუნქტის უფროსმა და, სავარაუდოდ, კრიმინალურმა პოლიციამაც. აზერბაიჯანულ მხარეს ორი წლის განმავლობაში სურდა ჩემი დაკავება, რაც ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობით იყო გამოწვეული. ფაქტიურად, ვიკვლევდი ალიევის ბიზნესებს, სწორედ ამიტომ სურდათ ჩემი დაკავება, რათა გავჩუმებულიყავი“, – აცხადებს მუხთარლი ,,ტვ პირველთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

როგორც მუხთარლიმ სატელეფონო ინტერვიუში განაცხადა, მასზე თვალთვალი ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. მუხთარლი ეჭვობს, რომ მისი გატაცების სანაცვლოდ ქართულმა მხარემ და კონკრეტულმა პირებმა ფინანსური სარგებელიც მიიღეს. მუხთარლიმ მისი გატაცების დღეც გაიხსენა და განაცხადა, რომ გამტაცებლები ქართულად საუბრობდნენ.

მუხთარლის განცხადება ცილისმწამებლურია!

ეკა ბესელია აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის მიერ საქართველოს ხელისუფლებისა და პრემიერის მიმართ გაკეთებულ განცხადებას ცილისმწამებლურს უწოდებს.

„ეს ცილისწამების კლასიკური მაგალითი იყო. შეიძლია, გითხრათ, რომ ეს სიმართლე არ არის. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს და პრაქტიკულად ყველა პირი დაკითხულია, ვისაც თეორიულადაც შეიძლება რაიმე ინფორმაცია ჰქონოდა. ამ საკითხზე შუალედური ინფორმაცია გასაჯაროვებული იყო და შესაბამისი პასუხისმგებელი პირები თანამდებობიდან გადადგნენ. ასეთი ბრალდება ცილისწამება და სიცრუეა. არანაირი დავალება და სახელმწიფოების უმაღლესი თანამდებობის პირების წინასწარი შეთანხმება არ ყოფილა“, – განაცხადა ბესელიამ ჟურნალისტებთან საუბრისას.

გუგეშაშვილს საუბარი შეუძლია და აინტერესებს შვილის მდგომარეობა!

დოდო გუგეშაშვილის მეგობრის დავით მუხიგულის ინფორმაციით, გუგეშაშვილი კვლავ რეანიმაციულ განყოფილებაშია, თუმცა საუბარი შეუძლია და შვილის მდგომარეობა აინტერესებს. მუხიგულის თქმით, სამართალდამცველებს ის ჯერჯერობით არ დაუკითხავთ.

„გვითხრეს, რომ დოდო გუგეშაშვილი, რაც მთავარია, მოხსნილია მართვითი სუნთქვის აპარატიდან, მაგრამ მაინც რჩება მეთვალყურეობის ქვეშ რეანიმაციულ განყოფილებაში. დააკვირდებიან ვითარებას და, ალბათ, დღეს ან ხვალ გადაიყვანენ პალატაში. კონტაქტური არის. შეუძლია საუბარი და ყოველთვის ინტერესდება შვილის მდგომარეობით. მკვლელის ვინაობა აბსოლუტურად არავისთან დაუსახელებია. არავისთან უთქვამს რა მოხდა, ან მასთან ვინ იყო შესული. იგი სამართალდამცველების დაცვის ქვეშ რჩება“, – განაცხადა მუხიგულმა.

„თუკი სააკაშვილის საქართველოში დეპორტაცია მოხდება, მას დააპატიმრებენ“

აშშ-ში ვიზიტად მყოფი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში სიტყვით გამოვიდა. დამსწრეების ერთ-ერთი კითხვა მიხეილ სააკაშვილის შესაძლო ექსტრადირებას უკავშირდებოდა, რაზეც კობახიძემ განაცხადა, რომ საქართველოში მიხეილ სააკაშვილს პატიმრობა ელის.

„რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირების საკითხს, აქ მას აქვს სუსტი პოლიტიკური მხარდაჭერა. პოლიტიკური თავლსაზრისით ჩვენ არ გვაინტერესებს, სად იქნება სააკაშვილი – საქართველოში თუ უკრაინაში. ჩვენს ქვეყანაში გაიმართა სასამართლო პროცესი მის წინააღმდეგ. არსებობს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი სააკაშვილის საქართველოში დეპორტაცია მოხდება, ის დაპატიმრებული იქნება,“ – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ელისო კილაძემ კონკრეტული სახელები დაასახელა...

გაზეთ „ქრონიკა პლუსის“ მთავარ რედაქტორს ელისო კილაძეს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში ორი საათის განმავლობაში ჰკითხავდნენ. ელისო კილაძე მის მიმართ მუქარის შემცველი სატელეფონო ზარების გამო დაიბარეს.

„ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ჩემ მიერ საჯაროდ გაკეთებულ განცხადებას მუქარებთან დაკავშირებით რეაგირება მოჰყვა და გამოკითხვაზე დამიბარეს. მივაწოდე დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ სატელეფონო ზართან დაკავშირებით, შესაბამისი დოკუმენტაციაც წარვადგინე. დავასახელე კონკრეტული სახელები და გვარები, ვინც პერიოდულად მემუქრება ცემით და ანგარიშსწორებით. პირდაპირ გეტყვით, დასახელებულია, როგორც ირაკლი ღარიბაშვილი, ასევე, სოსო გოგაშვილი, იმიტომ, რომ ჩემი ჟურნალისტური საქმიანობიდან გამომდინარე, მე მათთან პირდაპირ გაცხადებული მტრობა მაქვს“.

ადამიანთა შთანთქმელები

ყოველი ახალი წლის დადგომისას ხალხი მარჩიელობას იწყებს — აბა, როგორი იქნება უახლოესი 12 თვე, მაგრამ მომავლის განჭვრეტას მხოლოდ ფუტუროლოგები თუ ახერხებენ. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ მათი პროგნოზები, როგორც წესი, საკმაოდ სოლიდურ ფაქტობრივ ბაზას ემყარება, ამდენად ხარისხიც მაღალი აქვს.

ამ მხრივ ერთობ საგულისხმოა მიხეილ მაგიდის ფუტუროლოგიური პროგნოზი, რომელიც დედამიწაზე მოვლენათა უახლოეს რამდენიმე ათეულ წელიწადში განვითარებას და შექმნილი ვითარების ანალიზს წარმოადგენს.

მისი აზრით, საუკუნის შუა ხანებისთვის კაცობრიობა მარსზე ან სხვა პლანეტაზე გადასახლებას მართალია, ვერ მოასწრებს, თუმცა კი კოსმიური მასშტაბის მიგრაცია მას უზრუნველყოფილი აქვს. სამ-ოთხ ათეულ წელიწადში დედამიწის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა 500-600 ქალაქში იცხოვრებს, რომელთაგან თითოეულში ათობით და ასობით მილიონი კაცი მოიყრის თავს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში დრო წარმოუდგენლად აჩქარდა, ოდესღაც საკმაოდ შორეული მომავალი დღევანდელობაში არნახული სისწრაფით იჭრება: **სულ ორიოდე წლის წინათ დედამიწაზე, ფაქტობრივად, პირველი გიგაპოლისი წარმოიშვა, რომლის მოსახლეობამ 100 მილიონ კაცს გადააჭარბა.** ეს უზარმაზარი აგლომერაცია ჩინეთის აღმოსავლეთში შექმნეს შანჰაიმ, ნანკინმა, ხანჯოუმ და უფრო მცირე ზომის კიდევ ორმა ათეულმა ქალაქმა. ციფრი „100 მილიონი კაცი“ მართლაც რომ შოკის მომგვრელია, არადა, ისიც ხომაა, რომ იქ ჩინეთის მხოლოდ ყოველი მეთოთხმეტე მოსახლე ცხოვრობს...

მაგრამ დედამიწაზე არის კიდევ სხვა ადგილები, სადაც ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია. მაგალითად, **ლონდონის აგლომერაციაში მისი უდიდებულესობის ელისაბედ II-ის ქვეშევრდომების მესამედი, 21 მილიონი კაცი ცხოვრობს. ხალხის კიდევ უფრო მაღალი კონცენტრაციაა სეულის აგლომერაციაში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი, ანუ 25 მილიონი კაცი სახლობს.**

სუპერურბანიზების პროცესები ასევე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს იაპონიაში, ახლო აღმოსავლეთში, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპის მთელ რიგ ქვეყანაში. ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ **კაცობრიობა განვითარების სრულიად ახალ — გიგაპოლისების ცივილიზაციის სტადიაში შედის.** ამასთან, დღეს ექსპერტები გადაჭრით ვერ ამბობენ, კარგია ეს თუ ცუდი, თუმცა კი პროცესი მთელ პლანეტაზეა მოდებული.

ამის ერთ-ერთი მიზეზი სოფლის მეურნეობის უკლებლივ ყველა დარგში ნანოტექნოლოგიების ფართო დანერგვაა. **ევროპის სახელმწიფოთა მაგალითით ვრწმუნდებით, რომ ქვეყნის დაპურება მოსახლეობის მხოლოდ 2-3 პროცენტს** შეუძლია. მაგალითად, თანამედროვე აგროტექნოლოგიების გამოყენებით, ისრაელში კიბუცების მოსახლეობას, რაც ქვეყნის მოსახლეობის იგივე 2-3 პროცენტს შეადგენს, ნეგევის უდაბნოში წელიწადში რამდენიმე მოსავალი მოჰყავს, ხოლო პროდუქციას იმდენს იღებენ, რომ მის ექსპორტსაც კი ეწევიან!

აღსანიშნავია ისიც, რომ გლობალიზაციის პროცესებმა გასაოცარი პარადოქსი გამოიწვიეს: **რაც უფრო მეტი ადამიანი გროვდება ერთ ადგილას, სამუშაოს შოვნის მით მეტი შანსი უჩნდებათ, რის შედეგადაც ცხოვრების პირობებს იუმჯობესებენ.** ამას თავისი ლოგიკური ახსნა აქვს: დიდი აგლომერაციები იმითაა ხელსაყრელი, რომ ერთ მრავალმილიონიან ქალაქში საქონლის გასაღება გაცილებით ადვილია, ვიდრე ორ ათეულ ერთმანეთისაგან დაშორებულ პატარა-პატარა ქალაქში — აქ ეკონომია თუნდაც გადაზიდვებზე, საქონლის დასაწყობებასა და ა. შ. კეთდება. ამასთან, რაც უფრო მეტი საქონელი იყიდება, მით უფრო მეტის წარმოებაა საჭირო, შესაბამისად, იზრდება მუშახელის მოთხოვნა, ფართოვდება მომსახურების სფერო, საჭიროა მეტი საცხოვრისის მშენებლობა და ა. შ. ამდენად, **სწრაფად მზარდი აგლომერაციები მილიონობით ადამიანსაც იზიდავენ და მილიონიან ინვესტიციებსაც: ბიზნესი იქ მიდის, სადაც საქონელზე მოთხოვნაც მეტია და სამუშაო ძალაც საკმარისადაა. დიდ ქალაქებში მიგრანტების ნაკადების მომძლავრების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი მიზეზია: გაცილებით მაღალი ხელფასი, უკეთესი სამედიცინო მომსახურება, საცხოვრებელი პირობები და სხვ.**

მოკლედ, დროთა განმავლობაში გიგაპოლისები კოსმიურ შავ ხვრელებს ემსგავსებიან: ზრდასთან ერთად ისინიც სულ უფრო მეტად ისრუტავენ პროვიციებიდან ყველანაირ რესურსს, რასაც მრავალ ქვეყანაში უკვე მოჰყვა სერიოზული სამოქალაქო დაპირისპირება. ამის მიზეზი კი, ვთქვათ, ლიბიაში, სირიაში, სხვაგან, ისაა, რომ დიდი ქალაქები (უმეტესწილად, დედაქალაქები), სადაც ქვეყნების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს, სულ უფრო მეტად მდიდრდებიან, პროვინციებში კი მოსახლეობა სულ უფრო მეტად ღატაკდება.

კაცობრიობა განვითარების სრულიად ახალ — გიგაპოლისების ცივილიზაციის სტადიაში შედის. ამასთან, დღეს ექსპერტები გადაჭრით ვერ ამბობენ, კარგია ეს თუ ცუდი, თუმცა კი პროცესი მთელ პლანეტაზეა მოდებული.

აქვე ისიც უნდა ითქვს, რომ მსგავსი ტენდენცია აგერ უკვე მერამდენე ათწლეულია, ჯერ კიდევ საბჭოური პერიოდიდან მოყოლებული, საქართველოშიც სულ უფრო მეტად იჩენს თავს: თბილისი რახანია სრულიად უაზრო აგლომერაციად იქცა, რის თვალნათელი მაგალითია აგერ სულ რამდენიმე წლის წინათ შემოგარენის რამდენიმე სოფლის (წყნეთის, წავკისის, ტაბახმელისა და სხვ.) „ქალაქის უბნებად გადაქცევა“, თუმცა კი ამ შემთხვევაში ნაციონალების ხელისუფლების მიზანი არა იქაური მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესება იყო, არამედ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არასასოფლო-სამეურნეო კატეგორიაში გადაყვანა, იმ ტერიტორიებზე სამოქალაქო მშენებლობის გაჩაღება და საკუთარი ჯიბის გასქელების სურვილი.

კვლავ გიგაპოლისების თემას თუ დავუბრუნდებით, უნდა ითქვას, რომ შვედი ეკონომისტის **კიელ ნორდსტრიობის** განცხადებით, **21-ე საუკუნის მეორე ნახევარში დღესდღეობით მსოფლიოში არსებული 200-ზე მეტი ქვეყნის მაგივრად დედამიწაზე დაახლოებით 600 გიგაპოლისი იქნება(!), რაც კაცობრიობის გლობალური ქალაქების ცივილიზაციის ეპოქაში გადასვლას ნიშნავს.** მისი აზრით, გლობალიზაციის პროცესებისა და ხალხთა მიგრაციის შედეგად სახელმწიფოები, ყოველ შემთხვევაში იმ ფორმით, როგორითაც ისინი ამჟამად არსებობენ, აღარ იარსებებენ. გიგაპოლისების ბიუჯეტები მთელ სახელმწიფოთა ბიუჯეტების შესადარი იქნება, იქ მთლიანი შიდა პროდუქტის უმეტესი ნაწილი იწარმოება, ამდენად, სავსებით ლოგიკური იქნება ვივარაუდოთ, რომ ისინი მთავრობებს განვითარების თავიანთ პირობებს მოახვევენ. **ამის თვალნათელი მაგალითია დიდი ლონდონი, რომლის მოსახლეობა, ბრეკსიტის თაობაზე რეფერენდუმის (ანუ ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლასთან დაკავშირებით გამოკითხვის) შემდეგ ქვეყნის მთავრობის პოლიტიკისგან განსხვავებული კურსის გატარების პრეტენზიას აცხადებს და ევროგაერთიანებიდან გამოსვლა არ სურს. არადა, იქ ქვეყნის მოსახლეობის მესამედი ნაწილი ცხოვრობს...** იგივე ვითარებაა შეერთებულ შტატებშიც, სადაც რამდენიმე მეგაპოლისის (კერძოდ, ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, ლოს-ანჟელესისა და კიდევ 5-6 ქალაქის) ცივილიზაციები სრულიად განსხვავდება ქვეყნის დანარჩენი ნაწილის კონსერვატიული ჯგუფების ცხოვრების ნირისგან, პოლიტიკური მისწრაფებებისაგან. ექსპერტები ერთხმად აცხადებენ, რომ მეგაპოლისების ცივილიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი არჩევნებს ვერასდროს მოიგებდა...

ამასთან, ექსპერტები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ **უახლოეს მომავალში სახელმწიფო საზღვრები კვლავაც იარსებებენ, ვთქვათ, ბუნებრივი რესურსებისა და არასასურველი მიგრანტებისგან თავის დასაცავად, თუმცა კი პოლიტიკური სისტემების განვითარება, შესაძლოა, რადიკალური მუნიციპალიზაციის გზით წარიმართოს და სახელმწიფოები უზარმაზარი ქალაქების კონფედერაციებად გადაიქცნენ.** ისინი არც სხვა ვარიანტებს გამორიცხავენ, ვთქვათ, სოციალური არასტაბილობის შედეგად დიქტატურების დამყარებას. ამ აზრს, კერძოდ, გამოთქვამს მსოფლიო ბანკის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი **მოზეს ნაიმი,** რომელსაც მიაჩნია, რომ **სოციალური კონფლიქტების გამძაფრებას შესაძლოა, განვითარებულ ქვეყნებშიც კი ავტორიტარული მმართველობების დამყარება მოჰყვეს.**

საკითხის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ისაა, რომ **მეგაპოლისებში მოსახლეობა სულ უფრო მეტად მრავალეთნიკური ხდება, რის შედეგად ქალაქური იდენტიფიკაცია ეროვნულს ჯაბნის** (ეს კი მცირერიცხოვანი ერებისთვის მრავალრიცხოვნებში უკვალოდ ათქვეფის უდიდეს საფრთხეს შეიცავს!). ამავე დროს, დიდ ქალაქებში ეთნიკური გასტარბაიტერებით დასახლებული მთელი უზარმაზარი უბნები ჩნდება, სადაც ხელისუფლება, ფაქტობრივად, არაფორმალური, ხშირად მაფიოზური კლანების ხელშია (მაგალითისთვის მარტო თბილისური ეგრეთ წოდებული „ბოშათა უბანი“ კმარა, რომელიც დანარჩენი ქალაქისგან სრულიად განსხვავებული კანონებით ცხოვრობს!).

აგლომერაციების უდიდეს ხიფათად ის გარემოებაც ჰქმნის, რომ ქალაქებში მოსახლეობის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად ასევე იზრდება სოციალურ კავშირთა სიმჭიდროვე და სოციალური აქტივობის დონე. ამის გამო კი, მოქალაქეთა რომელიმე ჯგუფის წარმომადგენლების უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, სოციალურად აქტიურ პირებს პროტესტის გამოსახატად ქუჩებში ათასობით მოქალაქის გამოყვანა ძალების დიდი დაძაბვის გარეშე შეუძლიათ.

ასე ესახებათ, დაახლოებით, მეგაპოლისებისა და სოციალურ ურთიერთობათა განვითარების სამომავლო პერსპექტივები ევროპელ ექსპერტებს, მაგრამ აქვე ჩნდება კითხვა: რა ბედი ელით ქვეყნების დაცარიელებულ პროვინციებს? იგივე კიელ ნორდსტრიომის აზრით, ისინი „დანაგვიანებულ ტერიტორებად“ გადაიქცევიან, სადაც უღატაკესი მოსახლეობა იცხოვრებს და ყველაზე მძიმე, ანდა, სულაც, მავნე წარმოებებში იქნება დაკავებული. თუმცა კი ბევრნი, ვთქვათ გერმანელი **კარლ-ჰაინც როტი** სხვა სცენარსაც წინასწარმეტყველებს: **დაცარიელებული მიწები ნაკრძალებითა და მოქალაქეთა დასვენების ზონებით კეთილმოეწყობა.** ეს გარემოება, უწინარესად, იმით იქნება განპირობებული, რომ ხალხს დროდადრო მაინც ბუნებაში გასვლა, სუფთა ჰაერზე ყოფნა სჭირდება. ამის აუცილებლობა უკვე დღესდღეობით უმძაფრესად დგას ჩინეთის უდიდეს აგლომერაციებში, სადაც მოსახლეობა უჰაეროობით იხრჩობა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ხალხს კატასტროფულად არ ჰყოფნის სასმელი წყალი. ასევე უმძაფრესად დგას სატრანსპორტო პრობლემა...

მოკლედ, რომ იტყვიან, პრობლემები თავზე საყრელადაა, თანაც მათში პრიორიტეტულის დადგენა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამდენად, საკითხების გადაჭრა, უკეთეს შემთხვევაში კი მათ გამწვავებამდე მოსაგვარებლად პრევენციული ზომების მიღება, ყველა დიდი ქალაქის ხელმძღვანელობის, სახელმწიფოების მთავრობების უპირველესი ამოცანაა.

ოთარ ტურაბელიძე

მომზადდა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების ინტერაქტიული რუკები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გეოგრაფიული-საინფორმაციო სისტემების გამოყენებით, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების ინტერაქტიული რუკები მოამზადა.

თემატური ინტერაქტიული რუკები მომზადდა როგორც რეგიონულ, ასევე თვითმმართველი ერთეულებისა და სხვადასხვა ტიპის დასახლებების დონეზე. რუკები მოიცავს ინფორმაციას მოსახლეობის გეოგრაფიული განაწილების, სიმჭიდროვის, ასაკის, გენდერული განაწილების, ეროვნების, ქართული ენის ცოდნის, აღმსარებლობის, განათლების დონის, ეკონომიკური აქტიურობის, შინამეურნეობების შემადგენლობისა და საბინაო პირობების შესახებ.

ინტერაქტიული რუკები დამუშავდა ევროსტატის რეკომენდაციების შესაბამისად. ამასთან, მოსახლეობის რაოდენობის გავრცელებისათვის გამოყენებულ იქნა 1 კვ.კმ-ის ფართობის გეოგრაფიული ბადე (პკშვ). აღნიშნული მიდგომა გამოიყენება ევროკავშირის წევრი ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების მიერ და იძლევა აღწერის შედეგების სრულყოფილი ვიზუალიზაციის საშუალებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სივრცითი ანალიზის თვალსაზრისით.

საქსტატმა გეოგრაფიული-საინფორმაციო სისტემების გამოყენება მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის საველე სამუშაოების დროს დაიწყო.



სტრიქონები ალბერტ აინშტაინის დღიურებიდან

იაპონიაში ყოფნის გამო

„მართალი გითხრათ, ისე გულწრფელად შევიყვარე ეს ხალხი და ამ ხალხის ქვეყანა, რომ დამშვიდობებისას ცრემლი ვერ შევიკავე“, — იგონებდა აინშტაინი.

აინშტაინის ავადმყოფობის შესახებ

1928 წელს შვეიცარიაში ყოფნისას აინშტაინს გულის რიტმი დაერღვა, რის გამოც ბერლინში გადაიყვანეს. რამდენიმე თვეში ადგომის ნება დართეს, მაგრამ ძალღონეს ძალიან ნელა იკრებდა. 1928 წელს იგი იგონებდა: „არცვის იმის თქმის მორალური უფლება არა აქვს, ქრისტიანი ვარ ან ებრაელიო, თუ ზემოდან ნაბრძანები ვისიმე მკვლელობა ხელეწიფება ანდა საერთოდ თავს არ არიდებს ასეთი საშინელი დანაშაულის ჩადენას“.

ომის შესახებ

1929 წლის თებერვალში თავისი დაბადების 50-ე წლისთავის წინ ალბერტ აინშტაინმა გულწრფელად და პირუთვნელად განაცხადა:

„ომი თუ დაიწყო, მე კატეგორიულად გავემიჯნები ყოველგვარ საომარ მოქმედებას. არ მინდა არც პირდაპირ და არც ირიბად ომის წამქეზებლობა. ყველანაირად შევეცდები ჩემი მეგობრების დარწმუნებას, რომ ისინიც ჩემსავით მოიქცნენ, ამასთანავე ეს ყოველივე დამოუკიდებელია იმისგან, მე თვითონ როგორ შევაფასებ ომის მიზეზებს“.

ბავარიული აკადემიიდან გამოსვლის შესახებ

1933 წლის აპრილში აინშტაინი ბავარიული აკადემიიდან გამოვიდა (ის ამ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი იყო და განაცხადა: „...გერმანიის საზოგადოების მეცნიერები, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იმის მდუმარე მოწმენი გახდნენ, თუ როგორ მოუსპეს გერმანელ მეცნიერთა, სტუდენტთა და მასწავლებელთა მნიშვნელოვან ნაწილს გერმანიაში მუშაობისა და არსებობის საშუალებათა მოპოვების შესაძლებლობა. მე არავითარი სურვილი არა მაქვს, რომ ვეკუთვნოდე ნებისმიერ სამეცნიერო საზოგადოებას, რომელიც, თუნდაც გარედან ზემოქმედებითაც კი, ასეთნაირად იქცევა“.

პირველი მსოფლიო ომის წინარე წლების შესახებ

ოცდაათი წლის შემდეგ დაწერილ „ავტობიოგრაფიულ მონახაზებში“, როცა ბორის თეორიამ ადგილი დაუთმო ახალ იდეებს, აინშტაინი იხსენებდა: „ჩემი ცდები სულ ერთიანად ჩამეფუშა... ფეხქვეშ თითქოს მიწა გამომეცალა და არსად არ ჩანდა მყარი ნიადაგი, რომელზეც რისამე აშენება შეიძლებოდა. ადრე სასწაულად მიმაჩნდა, რომ ეს მერყევი და წინააღმდეგობებით სავსე საფუძველი საკმარისი აღმოჩნდა, რათა ბორს ეპოვა სპექტრალური ხაზებისა და ატომების ელექტრონული გარსების ძირითადი კანონები და აეხსნა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდათ იმ კანონებს ქიმიისთვის. ეს მე დღესაც სასწაულად მიმაჩნია. ეს ჭეშმარიტად უმაღლესი მუსიკალობაა აზრის სამყაროში“.

სამყაროს ასაკის შესახებ

1945 წელს აინშტაინმა დაწერა „დამატება“ „ფარდობითობის თეორიის არსის“ წიგნად მეორე გამოცემისთვის. იმ „დამატებაში“ აინშტაინი წერდა: „სამყაროს ასაკი... უნდა აჭარბებდეს დედამიწის ქერქის ასაკს, რაც განისაზღვრება რადიოაქტიურ მინერალთა შესახებ მოცემულობათაგან. ვინაიდან ასაკის განსაზღვრა ამ მინერალთა მიხედვით ჭეშმარიტებაა, შესაძლებელია. შემოთავაზებული კოსმოლოგიური თეორიის უარყოფა, უკეთუ აღმოჩნდება, რომ ეს თეორია ეწინააღმდეგება ასეთი მეთოდით მიღებულ შედეგებს. ამგვარ ვითარებაში მე ვერ ვხედავ ვერავითარ გონივრულ გადაწყვეტას“.

ლორენცის სიკვდილის შესახებ

1928 წელს გარდაიცვალა ლორენცი, რომელსაც უდიდეს პატივს სცემდა აინშტაინი. თავის სიტყვაში არა მარტო „გენიოსი“ უწოდა აინშტაინმა, არამედ „ჩვენს თანამედროვეთაგან უდიდესი და უკეთილშობილესი, რომელიც თავის ცხოვრებას თვით უმცირეს წვრილმანთაგან ისე ქმნიდა, როგორც ხელოვნების ძვირფას ნაწარმოებს ქმნიან“.

მრავალი წლის შემდეგ აინშტაინი იგონებდა

„ყოველივე, რასაც ეს ამაღლებული გონება წარმოშობდა, ნათელი და ნატიფი იყო, როგორც რომ ხელოვნების უმშვენიერესი ქმნილება... უკეთუ ჩვენ, ვინც შედარებით ახალგაზრდა თაობას ვეკუთვნით, გვეცნობებოდა ლორენცი მხოლოდ როგორც ამაღლებული გონების ადამიანი, მაშინაც კი ჩვენი აღტაცება და პატივისცემა ამ ადამიანის მიმართ ერთსულოვანი იქნებოდა. მაგრამ ამით სულაც არ ამოიწურება ის ხიბლი, რასაც მასზე ფიქრის დროს ვგრძნობ. პირადად ჩემთვის ის ბევრად მეტს ნიშნავდა, ვიდრე ყველა დანარჩენი ადამიანი, რომელთაც კი ჩემი ცხოვრების გზაზე შევხვედრივარ“.



ასე ამბობდა ალბერტ აინშტაინი

რუსული ტექსტი ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა



ალბერტ აინშტაინის დაკვირვებანი

უკუგება

ალბერტ აინშტაინი ამბობდა:

„მე არცროდის მავიწყდება იმაზე ფიქრი, რომ ჩემი გარეგანი და შინაგანი ცხოვრება უცილოდ დაკავშირებულია სხვა ადამიანების სამუშაოსთან და აზრებთან, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე მუდმივად უნდა ვიფართოვებდე თავს, რათა სოფელ-ქვეყანას ზუსტად იმდენივე დავუბრუნო, რამდენსაც ვიღებდი და დღესაც ისევ ვიღებ“.

უმეცარნი ახლენენ აღმოჩენებს

ალბერტ აინშტაინი ამბობდა:

„უკეთუ ადამიანი ცხოვრებაში არცროდის შემცდარა, მაშასადამე, იმას არცრა ახლის ქმნა არ უცდია. ყველა ადამიანმა ბავშვობიდანვე იცის, რა შეიძლება და რა — არა. თუმცა აუცილებლად მოიძებნება მავანი უმეცარი, ვინც ეს არ იცის. აღმოჩენას სწორედ ის მოახდენს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ისინი, ვინც სულელურ რასმე ეცდება, მიაღწევენ ყველაზე უფრო შეუძლებელს“.

მუდმივი თვითგანვითარება

ალბერტ აინშტაინი ამბობდა:

„განათლება ის არის, რაც იმის მერე რჩება, როცა ყველაფერს ივიწყებ, რაც რამ სკოლაში უსწავლებიათ. მთავარია, შეკითხვები არ შეწყვიტო. ცნობისმოყვარეობა ხომ შემთხვევით არ ახლავს კაცობრიობას. გონება, რომელმაც ერთხელ უკვე გაიფართოვა თავისი საზღვრები, ვერც ვერასოდეს ვერ შეძლებს უწინდელ მდგომარეობაში დაბრუნებას“.

შეუზღუდავი წარმოსახვა

ალბერტ აინშტაინი ამბობდა:

„იმას კი არ უნდა ვესწრაფოდეთ, რომ ერთხელ წარვემატოთ დიდად, არამედ იმას უნდა ველტვოდეთ, რომ ადამიანის სიცოცხლემ აზრი შეიძინოს, ვინაიდან ინდივიდუუმის სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, თუ რამდენად შეუძლია სხვათა ცხოვრების გაშინაარსიანება სილამაზისა და ამაღლებულობის თვალსაზრისით. საჭიროა წარმატების იდეალის შეცვლა მსახურების იდეალით. აშკარაა, რომ პატივისცემას მხოლოდ ის სიცოცხლე იმსახურებს, რომელიც სხვა ადამიანების გულისთვის მოვლენია ამ ქვეყანას“.

დიდი ადამიანების მაგალითები

ალბერტ აინშტაინი ამბობდა:

„ერთადერთი, რასაც შეუძლია ჩვენი წარმართვა კეთილშობილი აზრებისკენ და საქციელისკენ დიდი და ზნეობრივად წმინდა ადამიანების მაგალითია. ადამიანების სწავლების ჭეშმარიტი ხერხი ის არის, ჩვენ თვითონ ვუჩვენებდეთ მაგალითს“.

საკუთარი თავის ჯობნა

ალბერტ აინშტაინი ამბობდა:

„ადამიანის ნამდვილი ფასეულობა იმით განისაზღვრება, თუ რამდენად შეუძლია ეგოიზმისგან განთავისუფლება, აგრეთვე რა საშუალებებით შეძლო მან ეს თავდახსნა. ადამიანი მხოლოდ მაშინ იწყებს ცხოვრებას, როცა თავისთავის ჯობნას მოახერხებს, ანუ თავს იმაზე მეტად გამოიჩენს, ვიდრე მოსალოდნელი იყო. პატივმოყვარეობისგან ანდა მოვალეობის გრძნობისგან არცრა ფასეულის წარმოშობა არ შეიძლება. ადამიანურ ფასეულობებს წარმოქმნიან სიყვარული და ადამიანებისადმი ერთგულება, აგრეთვე ამა ქვეყნის ობიექტური რეალიები“.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №14-22, 25-29

აპრილის თვეა. ციდან მომზირალი მზე ხან ხეებსა თუ ბუჩქებში, ხან კი მინდორ-ველის ათასფერ ყვავილებში იჭყიტება და ცხოველმყოფელ სხივებს მაცოცხლებელ ძალად ჰფენს მიდამოს... მთებს მწვანე ხავერდი გადაჰკვრია, ლოდებზე ხავსი ახასხასებულა, ხოლო ჭალებში ყვითელგულები სტვენით იკლებენ იქაურობას...

ალგეთი კალაპოტში იზმორება. გაზაფხულის მზიანი დღით გალაღებული ტალღები ხან წყვილად შეიყრებიან, ხან კი ნაპირებზე კენჭებს ეთამაშებიან ცელქი ჩუხჩუხით.

გაზაფხული დგას სოფლად. ყველაფერი ფერადი და ლამაზია. სახლები მწვანე ფოთლებითა და ყვავილებით შემოსილი ხეების ზღვაშია ჩაფლული. ყველასა და ყველაფერს უხარია სიცოცხლე. მოუსვენარი ფუტკრებიც შესევიან ნუშისა თუ ალუბლის ყვავილებს, საქმიანად დასტრიალებენ საკბილოს და ტკბილი ნექტრით იმოსავენ სახეს.

ბერიძეების სახლი შემაღლებულ ადგილზე დგას. სახლსაც და ეზოსაც გულიანი შრომის კვალი ატყვია. გემოვნებით ნაშენები ორსართულიანი ნაგებობა ამაყად გადმოსცქერის გაკრიალებულ ეზოს. სახლის გვერდით სათუთად მოვლილი ბოსტანი ჩანს; ან როგორ არ იქნება მოვლილი, თანდილა პაპა დღენიადაგ დაფუსფუსებს. მისი შვილიშვილი თორნიკეც პაპასავით მოუსვენარია, სულ მხარში უდგას მოხუცს და, რომ იტყვიან, შედეგიც სახეზეა.

— აი შეხე, პაპი, მცენარე შუადღის მზის მხარეს უფრო აქტიურად იზრდება. ნერგიც ეგრეა — ტოტი იქით აიყრება ხოლმე, საიდანაც მზე უფრო დიდხანს უყურებს.

— შენ ჩვენი უდიპლომო აგრონომი ხარ, პაპი, — მხარზე ხელი მოუთათუნა ჩამომდნარ მოხუცს თორნიკემ, — ჰა, ჰა, გვეყოფა ახლა, არ ვისადილოთ?!

— ცოტაცა, შვილო, ცოტაცა და მოვალ. გავჭრი არხებს და მეც მოგყვები. შენ წადი.

შრომა თანდილასათვის, ცოლის დაღუპვის შემდეგ, სოფლის თავში მდგმარე ეკლესიასთან ერთად, ტკივილის დავიწყების ერთ-ერთი საშუალება იყო. ფუსფუსში ისე დაუღამდებოდა, რომ ოჯახის წევრებს არა, ლუკმასაც არ გატეხდა.

— კარგი, მამა, გეყოფა! მოდი ისადილე! — გამოსძახა რძალმა და ისევ უკან შებრუნდა.

თანდილამ თოხი ფარდულში შეიტანა და ყუით წყალში ჩადო. არასოდეს დაადგებდა შრომის იარაღს მოუვლელს. იტყოდა ხოლმე, თუ გინდა გემსახუროს, შენც უნდა ემსახუროო.

მანანამ თეფში დაუდგა მამამთილს, პერანგის საყელო გაუსწორა. მადლიან მოხუცს სითბო და სიყვარული არ აკლდა ოჯახის წევრებისაგან.

ვერ იტყოდი, ისადილაო, წაიხემსა და მალე ისევ ბაღისკენ გაუწია გულმა. თითქოს მოუბოდიშა მონაგართ, სწვდა ჯოხს და სოფელს აღმა აუყვა.

— დედა, წავყვები რა. დღეს უფრო დასუსტებული მეჩვენა. საუბარში გულს გადააყოლებს და ბევრს არ იდარდებს.

— კარგი, შვილო. მიხედე, — თქვა მანანამ და მასაც, მის მეუღლესაც, ლევანს, ცრემლი მოადგათ.

თორნიკე პაპამისს ჯერ კიდევ გზაში დაეწია. ესიამოვნა მოხუცს, მკლავზე ჩამოეყრდნო, ხელი მოუთათუნა.

ჩუმად აუყვნენ აღმართს. ტყის პირას სოფლის სასაფლაო იყო. ცოტა მოშორებით კი — პატარა ეკლესია, სიმწვანესა და სიმყუდროვეში ჩაფლული.

ფეხაკრეფით მივიდნენ თინას საფლავთან. თანდილამ ჯერ მუხლზე დაიჩოქა, მერე საფლავის ფხვიერ მიწაში ხელი გაურია.

— მოვედი, ჩუმად რატომ ხარ, შე ენაწყლიანო. — თორნიკეს გახედა, ბიჭმა ცრემლიანი თვალები მოარიდა და წავიდა.

— მიჭირს თინათინ, ძალიან მიჭირს. შენ რომ ვერ გხედავ, მარტო ის კი არა, მე რომ ვარ ცოცხალი და შენ აღარ. ეს მიჭირს ძალიან. მზეს რომ ვხედავ, ვარსკვლავებს, გათენებას და დაღამებას, ესეც მიჭირს. შენ რომ მელნისფერი იები გიყვარდა, საცაა ჭალებს მოედება. გახსოვს? გიკრეფდი ხოლმე და მუჭა-მუჭა მომქონდა. ჩხუბობდი — ნუ მოჰკრეფ, კაცო, ჭალაში ჩავალ და იქ დავყნოსო!

წელს ერთიც არ მომიგლეჯია. მიჭირს უშენობა, ძალიან მიჭირს.

ხელი ისევ გადაუსვა საფლავის მიწას და წამოდგა. ფეხს ითრევდა. უკან-უკან ადგამდა

ნამიჯებს, თითქოს ეუხერხულებოდა ზურგის შექცევა. ბოლოს შებრუნდა და ფეხაკრეფით წავიდა...

თორნიკე გადაჭრილ მორზე იჯდა თავჩაქინდრული.

– ჯერ ამოსვლა მიძნელდება ხოლმე, შვილო, მერე კი მისი მარტო დატოვება. უთხარი მამაშენს, საფლავის ქვას მეც მიმახატოს. მინდა, სიცოცხლეშივე თინათინთან ვიყო.

– კარგი, პაპა რა, ცოცხალი კაცი ქვაზე ვინ გაიგო!

– აკეთებენ, შვილო, როგორ არა! მე ვიცი, არ დამანებებს ლევანი, ამიტომ მინდა, შენ სთხოვო, შენსას უფრო გაიგებს.

ბიჭმა პასუხი არ გასცა.

– პაპა, ხელი თუ არ შევავლეთ, მალე დაინგრევა.

– რა ვიცი, ავაწრიალე ყველა, მაგრამ საპატრიარქოს ნება უნდათ და დაიწყებენ, ალბათ.

– ალბათ, დაიწყებენ, – ნაღვლიანად დაუმატა თანდილამ.

გზას უკან გამოუყვნენ. მოხუცი სულ უფრო ხშირად ჩერდებოდა. ჯოხს ეყრდნობოდა და ფეხსაც ახალი ფეხადგმულივით ადგამდა.

– რწმენა დიდი ძალაა, შვილო! ჩემთვის ყველაფერი, რაც ღმერთს უკავშირდება, რაც სახარებით მასწავლეს, სიცოცხლეზე ძვირფასია. მარტო კი არ ვისწავლე, შევისისხლხორცე, ცხოვრების წესად ვიქციე. ამქვეყნად არავის და არაფრისთვის მიღალატია. სხვისი საფიქრალი ჩემსაზე წინ დამიყენებია, სხვისი ტკივილი ჩემსაზე ადრე მტკენია. ესე მიცხოვრია, ესე მიშენებია და ესე მიშრომია. აღდგომა, ახლა, ზოგისთვის მხოლოდ თავისი მიცვალებულის დღესასწაულად იქცა, ჩემთვის კი, ერთდროულად, წმინდაც არის და მძიმეც ეს დღესასწაული. ბავშვობიდან მეჩვენება – როგორ მიჰყავთ ქრისტე გოლგოთაზე, როგორ მიაქვს მძიმე ჯვარი, როგორ აჭედებენ მის სხეულს ამ ჯვარზე... დღემდე ჩამესმის კაკუნი, ლურსმნის მიჭედების ხმა. თითქოს, ცხადში ვხედავდე იესოს სისხლითა და ცრემლით განბანილ სხეულს. ჯერ ამას გავიაზრებ ხოლმე, და მერე მივდივარ ჩემს მიცვალებულთან.

რას იზამ, ხალხმა აღდგომა ღრეობად აქცია. ზომიერება გვიჭირს ქართველებს. უზომონი ვართ ყველაფერში, – სული მოითქვა, ბავშვს თვალებში შეაჩერდა, – მარტო ცუდში კი არა, შვილო, კარგშიაც ასეთები ვართ, სიყვარულშიც, კაცობაშიც და მეგობრობაშიც. ყველაფერში უზომონი ვართ.

სუნთქვა უჭირდა თანდილას, მაგრამ, თითქოს მოსწრება უნდაო, ისე მოძღვრავდა სისხლ-ხორცს.

თორნიკე სოფელში ახალგაზრდებთან შეჩერდა, თანდილამ კი, ალგეთის პირზე ბაღს ჩავხედავო, გზა განაგრძო.

...მაისში ფეხზე ვეღარ ადგა თანდილა. საავადმყოფოებიც მოატარეს, მაგრამ გული საშინელ დღეში აქვს და ისეა დასუსტებული, ოპერაციას ვერ გადაიტანსო, – თქვა ექიმმა გამოკვლევების შემდეგ.

იწვა თანდილა ფანჯრის გვერდით. ღია სარკმლიდან ყვავილებისა და ბალახის სურნელი შემოდიოდა... წუწუნებდა მოხუცი, თინას საფლავზე მინდა წასვლა, ეკლესია მესიზმრებაო, მაგრამ ძალიან სუსტად იყო და არავის მიჰყავდა.

მაისის თხუთმეტში იყო თინას დაბადების დღე. ლევანმა ქვა აიტანა და დედის საფლავზე დადგა. მამის თხოვნით, ორივეს პორტრეტი იყო ქვაზე. გაღიმებულები იყურებოდნენ დედა და მამა გაყინული მარმარილოდან. გული მოიოხა ლევანმა, ცრემლს გზა მისცა. იცოდა, მამაც ხელიდან ეცლებოდა.

თორნიკემ პაპას ახარა, ბებოს საფლავის ქვა მზად არისო. უსაყვედურა მოხუცმა, რატომ არ მაჩვენეთ, მენახა საფლავის ქვა, იქ თქვენ აღარ ამიყვანთ ცოცხალს და სამარეში გინდათ, დარდად ჩამაყოლოთო.

გვიან შუაღამემდე უჯდა თორნიკე პაპას. უამრავ რამეზე ისაუბრეს. მოხუცი ენერგიულად გამოიყურებოდა. ბიჭი გაოცებული შესჩერებოდა თანდილას.

– პაპა, რა ნაწარმოები გიყვარს ყველაზე მეტად, შენ ხომ ბევრი გაქვს წაკითხული?

– „გმირთა ვარამი“, შვილო, ცხონებულმა ლევან გოთუამ გადასახლებაში დაწერა. ახლანდელი მწერლებივით წყაროებსა და ცნობებში კი არ იქექებოდა, იჯდა და სამშობლოთი, მისი ვარამითა და ფიქრით რომ ჰქონდა სული და გული სავსე, წერდა. ასე, უბრალოდ, იჯდა და წერდა. ორჯერ წავიკითხე, შვილო, ეს ოთხტომეული. სულ მიკვირს, ერთმა კაცმა როგორ შეძლო ამდენი რამის ოთხ წიგნში ჩატევა!

– უცხოური, პაპა, უცხოური მწერლებიდან რომელი გიყვარს?

– უცხოელებიდან რემარკის „სამი მეგობარი“ ძალიან მიყვარს.

– აბა ახლა, ქართული და უცხოური რა ფილმი გიყვარს, მითხარი.

– ქართული „ფესვები“. გაიხარა მაგისმა გადამღებმა! უცხოური კიდევა – „გლადიატორი“.

– ყოჩაღ, პაპაჩემო. კარგი გემოვნება გაქვს.

– „ფესვებში“, შვილო, დიდი ქართული ტკივილია. – ემიგრანტებად წასული ქართველების ხარჯზე ქვეყანა იცლება. ის პატარა ბიჭი, ლევან აბაშიძე, ძალიან მიყვარს, მაგისი ომში სიკვდილი როგორ შეიძლებოდა! მაგისი ფრონტი – სცენა და გადასაღები მოედანი უნდა ყოფილიყო! გული ჩამწყდა, შვილო, მაგის სიკვდილი რომ გავიგე.

– გეთანხმები, პაპი, მართლა ძლიერი მსახიობი იყო.

– პაპასგულო, დიდი ხანია, მინდა, გითხრა, მაგრამ ვერ გიბედავდი: შენი მეგობრებიდან ზოგიერთი არ მომწონს, შვილო. მათზე ვერ ვიტყვი, ჭეშმარტი მეგობრები არიანმეთქი. იმას კი არ გეუბნები, სულ დაკარგო და აღარ გაეკარო-მეთქი, მაგრამ, სცადე მათი გადაფასება და, ვინც გულწრფელი არ არის, გვერდზე ნუ დაიყენებ. შენ ალალ გულს ნუ დაახარჯებ. ბავშვობაში მეც პაპამ მომიყვა:

ერთ სოფელში კაცს მტერი ჰყოლია. ძმები ჰყავდა ამ კაცს, მაგრამ მტრის მოსაშორებლად მათ არაფერი გაუმხილა, მხოლოდ კარგ მეგობარს სთხოვა, – სანამ მე იმ კაცს გავუსწორდები, ღამით საწოლში, ჩემს ნაცვლად, შენ უნდა ჩაწვე, ჩემი ცოლის გვერდით, რათა ჩემი სახლიდან გასვლა იმ მტერმა ვერ გაიგოსო.

წავიდა კაცი, დატოვა მძინარე ცოლი საწოლში, მოჰკლა მტერი, გაუშვა მეგობარი, ცოლს გვერდით მიუწვა.

როცა მეგობრები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, მტრის მომკვლელმა მეგობარს შეამჩნია, რომ საჩვენებელი თითი აღარ ჰქონდა მარჯვენაზე. ჰკითხა, რა დაგემართოთ, მაგრამ მან სიტყვა ბანზე აუგდო. დრო გადიოდა, კაცი კი არ ეშვებოდა მეგობარს – სულ ერთადა ვართ და მარტო როდისღა დარჩი, რომ ეს მოიწიეო? ერთხელაც, ადგა და ეუბნება: როცა შენი ცოლის გვერდით ვიწექი, ის გადმობრუნდა, მძინარე უნდა გადამხვეოდა, მე კი ამ თითით შევაჩერე, მკერდზე მომიხვდა თითი. ამ თითს შენი ცოლის ცოდვა ედო, სხეულზე ვეღარ გავაჩერებდიო.

გაგიჟდა შურისმაძიებელი, გულში ჩაიხუტა ძმაზე უფრო სანდო კაცი და, ისე დაიხოცნენ, ერთმანეთზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე! აი, ეს არის, შვილო, ნამდვილი მეგობრობა.

თორნიკე გაოცებული უყურებდა მრავლისმნახველ კაცს. ცრემლი მოერია. „როგორ მენანები, პაპი“, – გაიფიქრა ბიჭმა და ტელეფონი გამორთო. ჩუმად ჩაიწერა საყვარელი აღმზრდელის საუბარი.

–კარგი პაპა, წავალ ახლა. თუ რამე დაგჭირდეს, გამომძახე. ხომ იცი, რომ ფხიზელი ძილი ვიცი, – თორნიკე წასასვლელად ადგა, თანდილა ხელზე წაეპოტინა, ჯერ გულში ჩაიკრა პატარა ვაუკაცის დაძარღული ხელი, მერე ეამბორა და ჩურჩულით დალოცა შვილიშვილი.

– კარგი რა პაპი, ხომ არ დაბერდი. შენ ასეთი რამეები რომ არ იცოდი? მართლა ხომ არ დაბერდი?

– ეეჰ, მინდოდა შენს დაოჯახებას მოვსწრებოდი, მაგრამ, ვიცი, არ მომიწევს, შვილო, და მინდა, კაცურად იცხოვრო. კაცი ჯერ ცოლის გვერდით უნდა იყოს ღირსეული და მერე სხვებთან. უღირსი ქმარი გარეთ ღირსეული კაცი ვერ იქნები, შვილო. ქალი მინდვრის ყვავილია, მოფერება უნდა. ყველა სადარდებლისაგან უნდა დაიფარო, რომ ახალგაზრდული სული შერჩეს. უნდა გაახარო. ცხოვრების ყოველი დღე შენი არსებობით დღესასწაულად უნდა უქციო. ვინ იცის, როგორი ცოლი გეყოლება, მაგრამ, რა გასაჭირიც უნდა გედგას, არც ხმას აუწიო და არც ხელი ასწიო მასზე! იცოდე, შვილო, პირველივე გინებისა და დარტყმისთანავე მისთვის სულ სხვა ადამიანი გახდები და, თუ მაინც გაგიჩერდა, მხოლოდ მოვალეობის გამო დარჩება შენს ცოლად და არა – სიყვარულის გამო! ცილი არასოდეს დასწამო, მაგრამ ღმერთმა დაგიფაროს, ჩემო სიცოცხლე, და, თუ ცუდი შეგხვდა, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო! წინაპარს უთქვამს. წყნარად, ღრიანცელის გარეშე დაასრულე მასთან ყველაფერი. ისე, რომ დამნაშავედ შენ არ იქცე და ის კი – უდანაშაულოდ.

– კარგი, პაპა, დაიღალე, გატყობ, წავალ ახლა მე. – თორნიკემ დაუძლურებულ მოხუცს შუბლზე ხელი გადაუსვა. ჯერ შეყოყმანდა, მაგრამ დაიხარა და აკოცა. ყვრიმალები გრილი ჰქონდა მოხუცს. მერე საბანი გაუსწორა და გატრიალდა.

– ტკბილი ძილი მოგცეს უფალმა, ჩემო სისხლო! ღმერთმა გარიდოს ყველაფერი, რაც ზიანს მიაყენებს შენს სიცოცხლესა და ცხოვრებას.

...ირიჟრაჟა. თორნიკეს ძილში დედის ხმა ჩაესმა. შეშინებული წამოხტა.

– რა მოხდა, დედა?!

– პაპა სახლში აღარ არის, შვილო!

სხვაგან ძებნა არც დაუწყიათ. ავტომანქანით აუყვნენ სასაფლაოს გზას. თინას საფლავთან არავინ იყო. ახლა ეკლესიის გზას გაჰყვნენ. მუხლი მოეკვეთა ლევანს – თანდილა ეკლესიის კართან მოკუნტული იწვა, შავ ქვაზე სანთელი იყო მიმწვარი. მივარდა, მაჯა გაუსინჯა. სააქაოს აღარ იყო.

ლევანმა ხელში აიყვანა გაციებული მამისი და ბილიკს გაუყვა.

იმ ღამით წვიმა დაიწყო. თანდილას გასვენებამდე სულ წვიმდა. საოცრება იყო – როცა გამოასვენეს, ღრუბელი გადაიყარა და მზის სხივებმა სითბოსა და სინათლეში ამოავლო გარემო. მთელი სოფელი დასტიროდა ბერიკაცს. შვილებმა და შვილიშვილებმა ახლა უფრო მეტი გაიგეს ამ მადლიანი კაცის შესახებ. ენით უთქმელი საქმეები ჰქონდა თანდილას გაკეთებული, უამრავი სიკეთე, რაზეც არასდროს ლაპარაკობდა. იტყოდა ხოლმე: სიკეთე სიკეთეა, არ მიყვარს სიკეთისთვის სახელების დარქმევა, ან მასზე წარამარა საუბრებიო.

P.S. წლები გავიდა, ერთხელ ახალშერთული ცოლი პაპა-ბებიის საფლავთან აიყვანა თორნიკემ. ბიჭი ჩუმად იდგა. შემოდგომის სუსხიანი ნიავი ჰქროდა, ქურთუკი გაიხადა და ცოლს მოახურა.

– პერანგით ხარ, შეგცივდება, – მკლავზე მიეხუტა გოგო.

– პაპას საფლავთან ვართ, შენზე რომ არ ვიზრუნო, სიზმარშიაც არ მაპატიებს.

– როგორც ჩანს, მართლაც ღირსეული კაცი ყოფილა, ხშირად ახსენებ.

– კი, ღირსეული კაცი იყო. არასოდეს ყვიროდა, არასოდეს ძალადობდა, არასოდეს მეტს არ ითხოვდა, ვიდრე ეკუთვნოდა. ამიტომ ყველა პატივისცემითა და სიყვარულით იმსჭვალებოდა მის მიმართ.

– ნეტა მენახა...

– მასზე იმდენს მოგიყვები, ჩათვალე, რომ ნახე! წამო, მისი ეკლესია გაჩვენო...

დიანა ჯაშიაშვილი

პაპა თანდოს ეკლესია

მოთხრობა

ევროპარლამენტში ზაფხულის დროის გაუქმებაზე იმსჯელეს

ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანომ მოქმედი ნორმის გადახედვას მხარი დაუჭირა. გადაწყვეტილებას კი ევროკომისია მიიღებს. წელიწადში ორჯერ საათის გადაწევა მე-20 საუკუნის დასაწყისში, ენერგიის ეკონომიის მიზნით დაიწყეს. წესის გადახედვის მომხრეები აცხადებენ, რომ ის ეკონომიკურად გაუმართლებელი და მოქალაქეებისთვის არაკომფორტულია. ზაფხულის დრო უკვე გაუქმებულია არაერთ ქვეყანაში, მათ შორის 2005 წლიდან საქართველოში.

ბუშმა ტრამპი გააკრიტიკა

აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უმცროსმა ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკა გააკრიტიკა.

„ჩვენ მიგრანტები უნდა მივიღოთ და მადლობა გადავუხადოთ იმ სამუშაოს შესრულებისთვის, რომელზეც ამერიკელები უარს ამბობენ. ამერიკელებს არ სურთ პაპანაქება სიცხეში ბამბის კრეფა, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც საკუთარ ოჯახებში საკვების მიტანა სურთ და მზად არიან, ეს სამუშაო შეასრულონ“, — განაცხადა აშშ-ს ექსპრეზიდენტმა. მისი თქმით, ამ ადამიანების სახლი ამერიკაა და სხვა სახლი მათ არ გააჩნიათ.

რუსეთს „ისკანდერების“ იმედი აქვს

რუსეთს აქვს უფლება, თვითონ გადაწყვიტოს, სად განათავსებს სამხედრო რესურსებს საკუთარ ტერიტორიაზე, — ამის შესახებ კრემლის პრესმდივნმა დმიტრი პესკოვმა განაცხადა. ის გამოეხმაურა ლიტვის პრეზიდენტ დალია გრიბაუსკაიტეს განცხადებას, რომლის თანახმადაც, კალინინგრადთან რუსეთის მიერ „ისკანდერის“ განთავსება ნახევარი ევროპისთვის წარმოადგენს საფრთხეს.

5 თებერვალს ლიტვის თავდაცვის მინისტრმა რაიმუნდას კარობლისმა განაცხადა, რომ რუსეთმა კალინინგრადის ოლქში განათავსა ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსები „ისკანდერი“. რუსეთის სახელმწიფო დუმის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმირ შამანოვის თქმით, „ისკანდერების“ სამიზნე იქნება რუსეთის საზღვრებთან განთავსებული უცხოური სამხედრო ინფრასტრუქტურა.

დააკავეს ნარკოკარტელის უმსხვილესი ლიდერი

მექსიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა ქვეყნის უმსხვილესი ნარკოკარტელის „ლოს-სეტასის“ ლიდერი დააკავეს. ხოსე მარია გისარ ვალენსია, რომელიც ასევე „Z43“-ისა და „ელ ჩარლის“ მეტსახელებით არის ცნობილი, ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტის თანამშრომლებმა დააკავეს.

გისარ ვალენსიას ბრალად აშშ-ს ტერიტორიაზე კოკაინისა და მეტამფეტამინის შეტანა ედება. ის ასევე გვატემალადან მექსიკაში ნარკოტიკების გადატანას ხელმძღვანელობდა. მედიის ინფორმაციით, 2014 წელს აშშ-მა მასზე ინფორმაციის სანაცვლოდ 5 მილიონი დოლარის ჯილდო დააწესა.

დანართი №1 (4 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2018 წლის „02 თებერვლის“
№ 01-01-3/53 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულისმოცულობა მ3/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ერგე	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 825 $მ^3$/წელიწადში	21.00	205,00
2	ქ.ბათუმი, ოპიზრების ქ.N83	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	5 475 $მ^3$/წელიწადში	63,00	215,00
3	ქ.ბათუმი, ახალსოფლის დასახლება	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	3 650 $მ^3$/წელიწადში	42,00	210,00
4	ქობულეთის მუნიციპალიტეტი,დაბა ჩაქვი, ბათუმის ქ.N16	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	401 500 $მ^3$/წელიწადში (ორ ჭაბურღილზე--თითოეულზე 200 750 $^{3)}$)	4 584,00	1200,00

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო ნომერი	245429200
მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

საქართველო აზერბაიჯანს სულ უფრო მეტ გაზს სთხოვს!

2018 წელს საქართველო აზერბაიჯანიდან გაზის იმპორტს გაზრდის. დამტკიცებული ენერგეტიკული ბალანსის მიხედვით, 2018 წელს, საქართველო რუსეთიდან გაზს არ შეიძენს, შესაბამისად, ერთადერთი მომწოდებელი აზერბაიჯანი რჩება, საიდანაც 2,679 მლრდ კბ/მეტრი ბუნებრივი აირის შეძენაა დაგეგმილი. რამდენად მოახერხებს მეზობელი ქვეყანა საქართველოს მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, ეს რთული საკითხია. ჯერ კიდევ 2 წლის წინათ ამასთან დაკავშირებით პრობლემა შეიქმნა და საქართველოს ალტერნატიული გზების მოძებნა მოუხდა. მას შემდეგ მოწოდების საკითხი თითქოს დარეგულირდა, მაგრამ მოთხოვნაც დიდი სისწრაფით გაიზარდა. მაგალითად, 2016 წელს საწართველომ აზერბაიჯანიდან 1,32 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მიიღო, 2017 წელს კი 2.2 მლრდ კბ/მეტრი, წელს კი 2,679 მლრდ კბ/მ-ს ითხოვს. გამოდის, რომ 2 წელიწადში მოთხოვნა გაორმაგდა.

„საქართველოს გაზის დამტკიცებულ ბალანსში, 2018 წელს არ არის გათვალისწინებული რუსული გაზი. ეს მოცულობა ჩანაცვლდება აზერბაიჯანიდან გაზის იმპორტით. გაზის ფაქტიური მოხმარება შესაძლოა, შეიცვალოს ამინდის პირობების და ენერგოსადგურების მუშაობის რეჟიმის მიხედვით“, — აცხადებს „სოკარ ენერჯიჯორჯიას“ ხელმძღვანელი მაჰირ მამედოვი.

საქართველო აზერბაიჯანიდან 2 წყაროთი იღებს გაზს უშუალოდ „სოკარის“ რესურსებიდან და „შაჰ-დენიზის“ საბადოდან.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა 2018 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსი შარშან წლის ბოლოს დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც, მიმდინარე წელს საქართველო რუსეთიდან ბუნებრივ აირს აღარ შეიძენს. ბალანსის თანახმად, 2018 წელს საქართველო 2.680 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის მიღებას სრულად აზერბაიჯანისგან გეგმავს. კერძოდ, 1.866 მილიარდ კუბურ მეტრს „სოკარისგან“, 813,9 მილიონ კუბურ მეტრს შაჰ-დენიზისგან მიიღებს, ხოლო 9,4 მილიონი კუბური მეტრი ადგილობრივი მოპოვებაა.



2017 წელს საქართველომ რუსეთისგან 100 მილიონი კუბური მეტრი გაზი მიიღო. მარტის შემდეგ მიწოდება აღარ განხორციელებულა. „გაზპრომთან“ გაფორმებული დოკუმენტით, რუსეთი საქართველოს სომხეთში გატარებული ბუნებრივი აირისთვის შესაბამის გადასახადს უხდის. დოკუმენტი 2018 წლის ბოლომდეა ძალაში.

ცალკე საკითხია გაზრდილი მოთხოვნის პირობებში რამდენად შენარჩუნდება სამომხმარებლო ტარიფი. საქართველოს დამატებითი მოცულობის შეძენა კომერციული ტარიფით უწევს, რაც საშუალო შეწონილი ფასის მატებას იწვევს.

ბექა დანელია

სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი;
	ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას; თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 02 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 06 მარტს დღის 18.00 საათზე
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 06 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 06 მარტს დღის 18.00 საათზე
სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ახალგორის „საბაჟო“

ფული ბიუჯეტში თუ, ფული ჯიბეში?

ოკუპირებულ ახალგორის რაიონში ეგრეთ წოდებული საბაჟო პუნქტი ამოქმედდა. დე ფაქტო ხელისუფლება ამ ტერმინალს „რაზდახანის საბაჟოს“ უწოდებს. მებაჟეებთან ერთად გამშვებ პუნქტზე ვეტერინარული და ფიტოსანიტარული სამსახურების წარმომადგენლებიც დგანან. დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ახალგორში ხორცისა და რძის პროდუქტების შეტანა აკრძალულია.

ოსური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, განბაჟებას 50 კილოგრამზე მეტი ოდენობის ტვირთი ექვემდებარება. თბილისიდან ახალგორის მიმართულებით ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქცია შედის, იქიდან კი უკვე ცხინვალის ბაზარზე ხვდება. ახალგორელი სამოქალაქო აქტივისტი თამარ მეარაყიშვილი აცხადებს, რომ ახალგორელებისთვის ეგრეთ წოდებული საბაჟო პუნქტის ამოქმედებამ ცხოვრება უფრო დაამძიმა, რადგან თბილისიდან შემოტანილი პროდუქცია ამის შემდეგ უფრო ძვირდება. გარდა ამისა, ამუშავებულია კორუფციული სქემები და ფულის დიდი ნაკადი ჯიბეებისკენ მიდის. მეარაყიშვილი ამბობს, რომ გადამზიდავებისთვის ეგრეთ წოდებულ საბაჟოზე არ არსებობს ინფორმაცია ტარიფებისა და აკრძალული თუ ნებადართული ტვირთების შესახებ და მებაჟეებიც საკუთარი სურვილის მიხედვით მოქმედებენ და უკვე განბაჟებულ ტვირთებზე ქვითარსაც არ ბეჭდავენ.

წეროვანში განთავსებული ახალგორის დევნილი გამგეობის თავმჯდომარე ნუგზარ თინიკაშვილი აცხადებს, რომ ეგრეთ წოდებულ საბაჟოს გახსნამდე და მას შემდეგაც იქ შავი ფული ტრიალებდა და ადგილობრივი მესაზღვრეები და მებაჟეები კორუფციაში იყვნენ ჩაფლულნი. თინიკაშვილის თქმით, ოკუპირებული ტერიტორიებისკენ ტვირთბრუნვა იმდენად გაიზარდა, რომ დე ფაქტო ხელისუფლებამ ამით შემოსავლის მიღება გადაწყვიტა, მაგრამ, მისი აზრით, ამ ფინანსების დიდი ნაწილი ისევ კონკრეტულ ჯიბეებში წავა.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ახალგორის რაიონთან ეგრეთ წოდებული საბაჟო გამშვები პუნქტის ამოქმედებას არაერთხელ გამოეხმაურნენ – პირველად მაშინ, როდესაც დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა იდეის დონეზე დაიწყეს საუბარი. ეს იყო გასული წლის ნოემბერში. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ზალკანიანის თქმით ეს არის რუსეთის კიდევ ერთი მცდელობა ოკუპირებული რეგიონები საკუთარი ეკონომიკური გავლენის სფეროში მოაქციოს.

სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილი მიიჩნევს, რომ ეგრეთ წოდებული საბაჟო პუნქტის გახსნა ახალგორის რაიონში ლეგიტიმური ვერ იქნება, რადგან საქართველო-რუსეთის საზღვარი კავკასიონის ქედზე გადის.

ახალგორის მაღაზიებში უკვე პროდუქციის გაძვირებას ელოდებიან. უფრო მეტად გაიზრდება ფასები დაბიდან ცხინვალში ჩატანილ პროდუქტებზე, რადგან ეგრეთ წოდებულ საბაჟო და არაოფიციალურ გადასახადებს ახალგორიდან ცხინვალამდე ტვირთების ტრანსპორტირების ხარჯებიც დაემატება.

გოგა აფციაური

ისტორიის სვეტი

საღ, რა, როდის, ვინ?

თარიღი, მოვლენა, შეფასება

1815 წლის 7 თებერვალს

გარდაიცვალა 1810 წლის სექტემბრის მიწურულიდან თურქეთში გახიზნული იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II, დაკრძალეს ტრაპიზონში წმ. გიორგის სახელობის ბერძნული ეკლესიის გალავანში. 1990 წლის შემოდგომაზე მისი ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და გელათის მეფეთა საძვალეში დაკრძალეს. ქართულმა ეკლესიამ რუსთა წინააღმდეგ გმირულად მებრძოლი სოლომონ II წმინდანად შერაცხა.

რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომის შემდეგ სოფელ თურქმენჩაიში **1828 წლის 10 თებერვალს** დადებული საზავო ხელშეკრულებით საქართველოს ისტორიული ტერიტორია ჭარ-ბელაქანი (საინგილო) რუსეთის იმპერიას დარჩა.

1945 წლის 11 თებერვალს

საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს გერმანელ ფაშისტთა ბუდაპეშტის დაჯგუფება და გაათავისუფლეს ქალაქი ბუდაპეშტი.

1942 წლის 13 თებერვალს

გამოიცა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განკარგულება „ომის პერიოდში ქალაქის შრომისუნარიანი მოსახლეობის საწარმოებსა და მშენებლობებზე მობილიზაციის შესახებ“.

1405 წლის 18 თებერვალს

ჩინეთის წინააღმდეგ ლაშქრობისთვის გამალებული მზადების დროს, ქ. ოთრათში მოულოდნელად გარდაიცვალა დიდი სარდალი და დამპყრობელი თემურ ლენგი. დაკრძალულია სამარყანდში, მისთვის და მისი შთამომავლებისთვის აგებულ დიდებულ მავზოლეუმ „გურ ემირში“.

1953 წლის 21 თებერვალს

გარდაიცვალა წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი თაყაიშვილი. 24 თებერვალს მცირერიცხოვანმა პროცესიამ მიაცილა იგი ვაკის სასაფლაოზე. 1963 წლის 10 თებერვალს, დაბადების 100 წლისთავზე, მისი ნეშტი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს, ისე რომ, კუბოც კი არ აღმოჩნდა გამოსაცვლელი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელიც დაცული ყოფილა. შემდეგ ექვთიმეს ნეშტი მთაწმინდაზე აასვენეს 1987 წლის 22 თებერვალს საფრანგეთიდან, ლევილიდან თბილისში ჩამოასვენეს და მეუღლის გვერდით დაასაფლავეს ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნეშტიც.

1944 წლის 23 თებერვალს

ჩატარდა ვეინახების – ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაცია – სამშობლოდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან შუა აზიაში გადასახლების ჩეკისტური ოპერაცია. გაასახლეს დაახლოებით 200 ათასი ადამიანი. გასახლებას გადაურჩა საქართველოში, პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების ვეინახური ტომი. მათ ქართველებმა დააფარეს ხელი.

◎ პიონჩანი – 2018

პროგნოზები კი ასეთია

ამერიკული საინფორმაციო სააგენტო ასოშიეიტედ პრესი (AP) პიონჩანის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მედლების შესაძლო გადანაწილების ცხრილს გვთავაზობს.

სააგენტოს გათვლებით, საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილს ნორვეგიელები დაიკავებენ, რომლებსაც თამაშების დახურვის დღეს – 25 თებერვალს 39 მედალი, მათ შორის 19 ოქროს, 10 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს ჯილდო უნდა აღმოაჩნდეთ. მეორეზე გერმანიის წარმომადგენლები გავლენ (15-7- 7), მესამეზე კი – კანადელები (14-10-12).

AP-ის აზრით, ოლიმპიელი ათლეტები რუსეთიდან ცხრა მედალს, აქედან 4 ოქროს, 2 ვერცხლსა და 3 ბრინჯაოს მოიპოვებენ, რითაც საერთო ჩათვლაში მეათე ადგილზე გავლენ.

გარდა ამისა, სააგენტო ჰოკეისტთა ტურნირის სამეულსაც წინასწარმეტყველებს, სადაც ოქროს მედლებს კანადელები დაეუფლებიან, ვერცხლს – შვედები, ხოლო

ბრინჯაოს – ფინელები.

ასოშიეიტედ პრესის მსგავსად, საერთო ჩათვლის საბოლოო პროგნოზს აქვეყნებს ამერიკული ანალიტიკური კომპანია Gracenote. მისი გათვლებით, პირველობა გერმანელებს დარჩებათ, მეორეზე ნორვეგიელები გავლენ, მესამეზე კი – ამერიკელები.

ოკეანისგაღმელი ანალიტიკოსები რუსეთის შანსებს მოკრძალებულად აფასებენ და მიაჩნიათ, რომ პიონჩანში მათი მონაგარი 8 მედალი იქნება (2-3-3).

სპორტსმენთა შორის ყველაზე მეტი მედლის მომპოვებელთა შორის ბიატლონისტებს ხედავენ – მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს, გერმანელ ლაურა დალმაიერსა (6 ოქრო) და ორგზის ოლიმპიურ და მსოფლიოს 11-გზის ჩემპიონს, ფრანგ მარტენ ფურკადს (3 ოქრო, 2 ვერცხლი, 1 ბრინჯაო).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ხელბურთი

ლიდერობენ „ქარიშხალა“ და „ოქროს ვერძი“

სასპორტო კომპლექს „არენაში“ განახლდა საქართველოს ხელბურთელ ქალთა 2017-2018 წლების ეროვნული ჩემპიონატი. შეჯიბრებაში რვა გუნდი მონაწილეობს. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ოთხეულებმა შარშან ერთმანეთთან პირველი წრის ორთაბრძოლები გამართეს, ამჯერად კი აღმოსავლელები დასავლელებს ხვდებიან. ამ პაექრობების შემდეგ პირველი წრე დასრულდება. განახლებულ ჩემპიონატს რამდენიმე გუნდი შესუსტებული შემადგენლობებით შეხვდა, რადგან წამყვანმა მოთამაშეებმა უცხოურ კლუბებს მიაშურეს. პეგასელი მედეა ჩოხელი დანიაში ხელბურთის აკადემიაში სასწავლებლად წავიდა, ყვარლელი ქეთი კუნელაშვილი ესპანურ „გრანოლერსში“ მიიწვიეს, მისი თანაგუნდელი თინა ქიტესაშვილი, ასევე, ფოთელი ქრისტინა ჯავახია და პეგასელი ქეთევან ვენეცკი აზერბაიჯანში თამაშობენ.

ჩემპიონატში უკვე გაიმართა სამი ტურის მატჩები. გაუწყებთ იმათ შედეგებს: „ქარიშხალა“ – „აჭარა“ 20:15, „მამული“ – „სამტრედია“ 21:13, „ყვარელი“ – „წყალტუბო“ 13:14, „სამტრედია“ – „ქარიშხალა“ 22:22, „ფოთი“ – „მამული“ 17:17, „წყალტუბო“ – „პეგასი“ 14:10, „სამტრედია“ – „პეგასი“ 15:15, „ფოთი“ – „ყვარელი“ 21:16, „წყალტუბო“-„ქარიშხალა“ 12:24, „აჭარა“ – „მამული“ 9:21, „პეგასი“ – „ფოთი“ 10:13, „აჭარა“ – „ყვარელი“ 13:11.

ლექსო ცინცაძე

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ქარიშხალა	6	5	1	0	144:98	11
ფოთი	6	5	1	0	111:83	11
მამული	6	4	1	1	126:84	9
წყალტუბო	6	4	0	2	85:88	8
სამტრედია	6	0	3	3	88:106	3
აჭარა	6	1	1	4	77:106	3
ყვარელი	6	1	0	5	86:104	2
პეგასი	6	0	1	5	70:118	1

◎ მძლეოსნობა

საუკეთესოები ეროვნულშიც იასპარეზებენ

საქართველოს სხვადასხვა კუთხის 300-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა თბილისის ზამთრის ღია პირველობაში (შეჯიბრებაში უკონკურსოდ გამოდიოდნენ უფროსი ასაკისა და 2003-2004 წლებში დაბადებული სპორტსმენებიც), რომელსაც მძლეოსნობის სასახლემ უმასპინძლა. ჭაბუკებში საუკეთესო შედეგის მქონენი 10-11 თებერვალს საქართველოს ზამთრის ჩემპიონატშიც იასპარეზებენ. დედაქალაქში განსაკუთრებით რამდენიმე სპორტსმენმა გამოიჩინა თავი: ქუთაისელმა ლუკა ივანეიშვილმა სიმაღლეზე ხტომა 190 სანტიმეტრით მოიგო, თბილისელმა გიორგი კეკიშვილმა ურო 67,74 მეტრს გადააცილა და ოქროს მედალი დაიმსახურა. მისმა თანაგუნდელმა მიხეილ ცანავამ ჭოკით ხტომაში 430 სამტიმეტრით მოიპოვა ჩემპიონობა. ასევე, პირველ ადგილებზე გავიდნენ:

გოგონები. მედეა შონია (თბილისი, **60 მ**. 8,38), ბელა ჭკადუა (ზუგდიდი, **60 მ. თარჯებით**. 9,51და **200 მ**. 228,09), მონიკა ქიმუცაძე (ვანი, 400 მ. 1.09,18), ირინა აკოფიანი (ახალციხე, **800 მ**. 2.55,90), ჰასმიკ მარქარიანი (ახალციხე,**1500 მ**. 5,33,13 და **3000 მ**. 11.50,11), ანა ჩოხელი (თბილისი, **შუბი**. 36,83), ელენე თურმანიძე (თბილისი, **ბირთვი**. 9,22), მარიამ აბუაშვილი (თბილისი, **ურო**. 45,05); მედეა შონია (**სიგრძეზე ხტომა**. 4,76), თაკო ბაგაშვილი (თბილისი, **სამხტომი**. 8,70); **ამანათრბენი**. ახალციხე (2.47,40),

ვაჟები. ლაშა კირკიტაძე (ქუთაისი,**60 მ**. 7,37), სანდრო ხაჩატურიანი (თბილისი, **60 მ თარჯებით**. 9,69), ლაშა კირკიტაძე (**200 მ**. 24,27), თემურ მამედოვი (თბილისი,**400 მ**. 54,64 და **800 მ**. 2.03, 07), სანდრო თვალავაძე (თბილისი,**1500 მ**. 4.34,37 და **3000 მ**. 10.09,52), დავით ხოზრევანიძე (ხონი, **შუბი**. 56,03), თემურ იაშვილი (თბილისი,**ბირთვი**. 14,32), დემეტრე ლაბაძე (ქუთაისი, **სიგრძეზე ხტომა**. 5,42), მამია მახარაძე (ოზურგეთი, **სამხტომი**. 10,83), საბა ზებედაშვილი (თბილისი, **ბადრო**. 44,04); **ამანათრბენი**. თბილისი (2.16,09).

ვაჟა დანელია

◎ ჩოგბურთი

პირველ მატჩში დამარცხდნენ

ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გრძელდება ფედერაციის თასის გათამაშება, რომელშიც პირველი ევროაფრიკული ზონის 14 გუნდი მონაწილეობს. ისინი წილისყრით 4 ჯგუფში გადანაწილდნენ. ორი საუკეთესო უმაღლეს ეშელონში დაწინაურდება, ორი მაჩანჩალა კი მეორე ზონაში ჩამოქვეითდება. A ჯგუფში საქართველოს ქალთა ნაკრებმა ბულგარეთის გუნდთან წააგო – 1:2. იზაბელა შინიკოვამ (რეიტინგით 380-ე) საათსა 11 წუთში სძლია სოფიო შაფათავას (343-ე) 6:3, 6:3. ამდენივე დრო დასჭირდა ვიქტორია ტომოვას (139-ე) ეკატერინე გორგოძის (326) დასამარცხებლად – 6:2, 6:3. წყვილებში ოქსანა კალაშნიკოვამ (54-ე) და სოფიო შაფათავამ (241) 55 წუთში აჯობეს პეტრა არშინკოვასა (776) და ჯულია ტერზინსკას (391) – 6:0, 6:4. ასპარეზობის პირველ დღეს ბულგარელებმა 12: დათმეს მატჩი სერბებთან.

B ჯგუფი. დიდი ბრიტანეთი – პორტუგალია 3:0, ესტონეთი-პორტუგალია 2:1,

C ჯგუფი. ხორვატეთი-სლოვენია 2:1, უნგრეთი – შვედეთი 1:2, უნგრეთი – სლოვენია 2:1, ხორვატეთი – შვედეთი 2:1.

D ჯგუფი. ლატვია – თურქეთი 2:1, ავსტრია – პოლონეთი 1:2, პოლონეთი – ლატვია 1:2, თურქეთი – ავსტრია 2:1.

თამაზ პატარიძე

◎ პერსპექტივა

ედენ აზარის ფიქრები

ლონდონის „ჩელსის“ ნახევარმცველი ედენ აზარი ინგლისში ბედნიერია, თუმცა, ამავდროულად ამაყობს, როდესაც მასზე ზინედინ ზიდანი

საუბრობს.

ბელგიელი „რეალში“ შესაძლო გადასვლაზე: „ფეხბურთში არ იცი, რა მოხდება, ყველაფერი შესაძლებელია. ამჟამად „ჩელსიში“ ბედნიერი ვარ და მხოლოდ ლონდონში თამაშზე ვფიქრობ.

მახსოვს, როდესაც 10 წლის ვიყავი, ზიდანს პირველად ვესაუბრე და ეს იყო უდიდესი ემოცია. ის ჩემი ბავშვობის იდეალია და ყოველთვის ბევრ ვიდეოს ვუყურებდი მასზე. ახლა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია და მომწონს, როდესაც ჩემს შესახებ კარგად საუბრობს“, – განაცხადა აზარმა.

შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდში ხშირად იწერება, თითქოს ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში „სამეფო კლუბი“ აზარის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადასაბირებლად ყველაფერს გააკეთებს.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

დე ხეას რჩეული

ესპანელი გოლკიპერის დავიდ დე ხეას ცოლი, მოდელი ედურნე გარსია ალმაგრო, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს მოასპარეზე ფეხბურთელთა მეუღლეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და წარმატებულია. ისე კი, ამ მართლაც ტან-მკერდ-ბარძაყდალოცვილი ასულის პოპულარობას ათას ინფორმაციაზე გადამხტარი ბრიტანული ბულვარული მედიაც განაპირობებს.

თქვენც ძალიან კარგად მოგეხსენებათ, რომ ალბიონური მედია განსაკუთრებით წერს და აქცენტირებს მათზე, რომლებიც თავადაც ცდილობენ საზოგადოების ცენტრში ყოფნას და რა გასაკვირია, რომ ბრიტანეთის ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო კლუბის მეკარის მოდელ ტურფას თან დიდი ყურადღება და პოპულარობა სდევდეს.

ედურნე გარსია ალმაგრო თავადაც მიხვდებოდით, რომ "იუნაიტედის" გოლკიპერის თანამემამულეა, თუმცა, ამჟამად ესპანეთთან საქმიანობის კუთხით აღარაფერი აკავშირებს და მისი სილამაზით ძირითადად მხოლოდ ბრიტთა ქვეყნის მკვიდრნი ტკბებიან. ცხადია, არაბრიტანელნიც ვტკბებით, მაგრამ შორიდან და ვირტუალურად...

როსტომ რაჭველიშვილი

ხსოვნა

შეხმიანება თენგელა ლორთქიფანიძეს

ჩემო თენგელა, თერთმეტი თებერვალი ღრმასევდიანი მეორმოცე დღეა, რაც უშფოთველად განისვენე ძილის დროს და შენი ნათელმოსილი, მშვიდი სახე არ შერხეულა... მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ხანგრძლივად იცხოვრე ამქვეყნად და ღირსეულად იმოღვაწე, წარმოუდგენლად მძიმეა ჩვენი განშორებით გამოწვეული განცდები...

საზოგადოებრივი საქმიანობით საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება და ღირსების ორდენი დაიმსახურე, ხოლო პირადი ცხოვრებით — ერთსულოვანი დაფასება და სიყვარული. გარდაცვალების შემდეგაც ყველამ განსაკუთრებული პატივისცემა გამოხატა შენდამი...

გეხმიანები ჩემი შენდამი მოძღვნილი ლექსის „თვალწინ მიდგას“ ამონარიდით:

„თვალწინ მიდგას წარსული,
დრო გზნებით გარდასული,
სიკეთით დაღდასმული
ტანკენარი ასული.
თვალს ხიბლავდი ყოველით,
ვით ნუკრი უცოდველი,
სათნოების მთოველი,
მგზნებარება ცხოველი“.

ჩვენი სამოცდაშვიდი წლის მეუღლეობა შეწყდა, მაგრამ შორს არ არის სამუდამოდ ერთად ყოფნის ჟამი... შენთვის ჩვეული მოთმინებით მელოდე...

როგორც სიცოცხლეში ყურადღებითა და სიყვარულით ჰყავდი მოსილი შენს მერაბს, შვილიშვილებს — ანასა და გვანცას, რძალს — დოდოს, ისინი ასევე ღირსეულად უკვდავყოფენ შენს ხსოვნას...

მშვიდად განისვენე ნათელში, საოცრად ადამიანურო თენგელა.

გალაქტიონ ღლონტი

სანთელი

საქართველოს პარლამენტართა პალატა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა 1990-1991, 1992-1995, 1995-1999 და 1999-2004წ.წ. მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი

გიორგი (გია) შაიშმელაშვილი

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

პალატის სახელით
კობა ამირხანაშვილი



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, პროფესორი

გიორგი (გია) შაიშმელაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბუკინისტი იყიდის:

მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს — 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს — 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოც ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.

591-75-35-38.

კომპანია „გეოპლანტისა“ და „რენტჰაუსის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ანდრო შენგელიას დედის, უსათნოესი ქალბატონის, დამსახურებული პედაგოგის, მრავალი თაობის აღმზრდელის

ბუცია ოკუჯავა-შენგელიას

გარდაცვალების გამო.

უბედური შემთხვევა მშენებლობაზე

თბილისში, ნინო ჟვანიას №10-ში მშენებარე კორპუსიდან მუშა გადმოვარდა და ადგილზე დაიღუპა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.



◎ ჩვენი კარაბადინი

ნუ შეიყრით სურდოს!

წლის ცივ დროში რინიტი, ანუ სურდო, თითქმის ყველა ჩვენგანს ხშირად ემართება და მას ჩვეულებრივ, დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ, მის სიმპტომებს სხვადასხვა აბებითა და წვეთებით „ვთრგუნავთ“. არადა, ექიმები კატეგორიულად გვაფრთხილებენ, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება.

ალბათ, ბევრმა არც კი იცის, რომ არსებობს სურდოს გამომწვევი 300-ზე მეტი ვირუსი, რომლებიც „ჩვეულებრივად“ საჰაერო-წვეთოვანი გზით გადაიცემა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ადამიანი 2,5 წელს დაცემინებითა და სურდოთი ატარებს(!).

მედიკოსები იმასაც აცხადებენ, რომ რინიტის მკურნალობა საკმაოდ საფრთხილო და ამასთან, ერთობ არაეფექტიანი საქმეა: აქაოდა, გინდ იმკურნალე, გინდ არა, სურდო ერთ კვირაზე ადრე მაინც არ გაივლის. არადა, სურდოს აუცილებლად სერიოზულად უნდა მოეკიდოთ, რადგან მიშვებული რინიტი შეიძლება, სერიოზულ ლორ-დაავადებებში გადაიზარდოს, თანაც აუცილებელია გარკვეული წესების დაცვა, კერძოდ: **სახიფათოა ცხვირის ძლიერად და ხმამაღლა გამოხოცვა – ამ ძალისხმევის შემდეგ ლორწო ცხვირიდან, შესაძლოა, ჰაიმორის უბეებში ან შუაყურში მოხვდეს, რის შემდეგ ჰაიმორიტი ან ოტიტი წარმოიშვება. პირიქით, ცხვირის გამოხოცვა საჭირო სიფრთხილით, ჯერ ერთი, შემდეგ კი მეორე ნესტოს გამოწმენდით. ამის გარდა, სურდოს დროს არ უნდა იხმაროთ ნაჭრის ცხვირსახოცები, რადგან ისინი ინფექციის ბუდეებს წარმოადგენენ. ამიტომ საჭიროა ერთჯერადების გამოყენება.**

კარგი შედეგი არც სისხლძარღვთა შემავიწროებელი წვეთების გამოყენებას მოჰყვება, რადგან ორგანიზმი ამ პრეპარატებს მალევე ეჩვევა და შეიძლება წარმოიშვას მედიკამენტოზური რინიტი, რომლის მოცილება საკმაოდ ძნელი საქმეა. სინამდვილეში **ასეთი წვეთების გამოყენება სულ 4-5 დღის განმავლობაში შეიძლება, თანაც მხოლოდ ღამღამობით, ხოლო დღე-ღამეში ორჯერადი გამოყენებისას მხოლოდ სამი დღის მანძილზე.**

რინიტთან ბრძოლის დროს მთავარია **სისწრაფე** და **შეტევა**: პირველივე სიმპტომების წარმოშობისთანავე უმალ რეაგირებაა საჭირო. **როგორც კი პირველად დაგაცემინებთ, ცხვირში ფიზიოლოგიური ხსნარი, ანდა ზღვის წყალზე დამზადებული პრეპარატი ჩაისხით. ამის შემდეგ ფეხისა და ხელის აბაზანები გაიკეთეთ.** ამ „შეფარულმა მანევრმა“ სისხლის ნაკადი თავიდან კიდურებისკენ უნდა „გადმოქაჩოს“, რის შედეგად სურდო შეიძლება მორჩეს, მაგრამ აქ საჭიროა სიფრთხილე: აბაზანებისთვის 5 წუთი საკმარისია, სხვა შემთხვევაში მათ შესაძლოა, უკუეფექტი მოჰყვეს და ანთება უფრო სწრაფად განვითარდეს.

იმის თქმაც შეიძლება, რომ ამ დროს ღამე არც მდოგვიანი წინდების ჩაცმა და თბილი სასმელი იქნება ურიგო!

თუმცა გაცივების პრევენცია ყოელთვის ვერ ხერხდება, ამიტომ უფრო სერიოზული ხერხების გამოყენება გვიხდება ხოლმე. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითია **ინჰალაცია**, რა დროსაც წამალი უშუალოდ ცხვირის ლორწოვან გზებში ხვდება და თანაბრად ნაწილდება. გასათვალისწინებელია ასევე ისიც, რომ სურდოს წვეთები შესაძლოა, კუჭშიც მოხვდეს, საცხებით კი ცხვირის ღრუს ყველა ნაწილის დამუშავება შეუძლებელია.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

◎ დღესასწაული

მსოფლიოს წმინდა მღვდელმთავარნი

ბასილი დიდი, გრიგოლი ღმრთისმეტყველი და იოანე ოქროპირი



12 თებერვალს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს სამ დიდ ბურჯს სარწმუნოებისას – წმინდა ბასილი დიდს, გრიგოლი ღმრთისმეტყველს და იოანე ოქროპირს.

...ცნობილია, რომ კონსტანტინოპოლში იმხანად ცხარედ კამათობდნენ იმაზე, თუ ვისთვის მიენიჭებინათ უპირატესობა, რადგან თავიანთ მღვდელმთავართა ხსენება სხვადასხვა დღეს იყო დაწესებული. ზოგნი ამბობდნენ, ბასილი დიდია უპირატესიო, მეორენი გრიგოლ ღვთისმეტყველს მიიჩნევდნენ, სხვები კი – იოანე ოქროპირს.

ვითარება მეტისმეტად დაძაბულა, მაგრამ ღვთის ნებით სამივე მღვდელმთავარი ერთად ეჩვენა მიტროპოლიტ იოანეს და განუცხადა: „ჩვენ თანასწორები ვართ უფლის წინაშე, შეწყვიტეთ დავა, ერთ დღეს დაანესეთ ჩვენი ხსენება“.

აღსანიშნავია ისიც, რომ გრიგოლი ღმრთისმეტყველი ბასილი დიდის თანამოღვაწე იყო. ის ეკლესიის მტრებს ამარცხებდა თავისი მოძღვრული გულმოდგინებითა და პირადი ცხოვრების მაგალითით. უდიდესია ბასილი დიდის მოღვაწეობის მადლი, ისევე როგორც მისი თანამოძმის გრიგოლ ღმრთისმეტყველისა. რაც შეეხება იოანე ოქროპირს, მას ხომ მთელი სამყარო აქებდა. მან ქრისტიანულ ეკლესიას დაუტოვა წმინდა წერილის შთაგონებული განმარტება.

გიული ლიპარტია

გასაცინებელი ა(მ)ბები

სასიყვარულო წერილი

„საყვარელო! შენი გულისთვის ოკეანესაც გადავცურავ და უფსკრულშიც უყოყმანოდ გადავეშვები. იცოდე, შენკენ მომავალ გზაზე არცრა დაბრკოლება მაშინებს და არცრა სიძნელე“.

პ.ს. „მოვალ კვირას, თუ წვიმა არ იქნა“.

რეკლამა

ერთ-ერთმა ამერიკულმა სილამაზის ინსტიტუტის უფროსმა თავისი დაწესებულების რეკლამა გამოაქვეყნა:

„ჩვენს პატივცემულ კლიენტ ქალბატონებს გაცნობებთ, რომ კოსმეტიკური ოპერაციის წინ დირექცია იძულებულია, თითის ანაბეჭდები აგიღოთ. ეს მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რათა ოპერაციის შემდეგ თქვენი ამოცნობა არ გაჭირდეს“.

ლაპარაკი ძილში

კოვალსკიმ ძმაკაცს შესჩივლა:

– საშინელ უხერხულობაში ვარ, თურმე ძილში ვლაპარაკობ.

– ეგ რა საწუხარი ამბავია.

– გააჩნია ვისთვის, ჩემთვის მართლაც საწუხარია. ვინც გაიგო, ყველა მასხრად მიგდებს, ჩემს ამხანაგებზე ვლაპარაკობ.

– რომელი ამხანაგები?

– ვისთან ერთადაც ვმუშაობ...



პირველი კაცი

შვეიცარიის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– ვინ იყო პირველი კაცი?

– ვილჰელმ ტელი.

– ადამზე რაღას იტყვი?

– თუ ბატონი მასწავლებელი უცხოელებსაც გულისხმობს, ეგრე იყოს...

ბედნიერი შემთხვევა

კოვალსკი მოვალეს მიადგება, კარს შინამოსამსახურე უღებს.

– მასპინძელი შინ არის? – ეკითხება კოვალსკი.

– კი, შინ ბრძანდება, – მიუგებს შინამოსამსახურე.

– როგორც იქნა, ბედმა გამიღიმა. აქამდე ვერასოდეს დავიჭირე შინ.

– დღესაც ვერ დაიჭერდით, ამ დილით რომ არ გავეთავისუფლებინე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ ან ყოველდღე იყიდეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4621; ევრო - 3.0131;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4201;
100 რუბლი - 4.2547; თურქული ლირა - 0.6442;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4524;
1000 სომხური დრამი - 5.1028.

ამინდი 10 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+14
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+10
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+12
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge